www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 2 აპრილი, 2004 წელი. №78 (627)
ფასი 50 თეთრი

# მიხეილ სააკაშვილი "სეპარატისტულად განწყობილ ქონდრისკაცებს" უკანასკნელად აფრთხილებს

გიორგი ასანიშვილი

*ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე საქართველოს პრეზიდენტი "გამაფრთხილებელ გასროლას" აკეთებს: მე-11 მექანიზებულ-მოტომსროლელი ბრიგადის შექმნის 12 წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმის დაწყების წინ, მიხეილ სააკაშვილმა "სეპარატისტულად განწყობილ ქონდრისკაცებს" გონზე მოსვლისკენ მოუწოდა. როგორც ჩანს, ეს გაფრთხილება საბოლოოა, რადგან პრეზიდენტი აცხადებს, რომ "ასეთი საუბრებით უკვე დაიღალა". გაფრთხილების პარალელურად, უმაღლესი მთავარსარდალი სამხედრო მოსამსახურეთაგან საბრძოლო მზადყოფნას მოითხოვს. "მზად უნდა იყოთ დესანტირებისთვის ქვეყნის ნებისმიერ წერტილში, სადაც კი სეპარატიზმის გამოვლენას ექნება ადგილი," - მიმართავს მეომრებს პრეზიდენტი სააკაშვილი.*

გაგრძელება A4 გვერდზე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*უმაღლესი მთავარსარდალი სამხედრო მოსამსახურეთაგან მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას მოითხოვს.*

# ნატო-ს შტაბ-ბინასთან 26 დროშა ფრიალებს




# საოლიმპიადო ფინიშის სწორზე

ბიბა ბურასაშვილი

ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე არცთუ ისე დიდი დროა. ოთხ თვეში სტარტს აიღებს მსოფლიო სპორტის უმნიშვნელოვანესი ასპარეზობები, რომელში წარმატებისთვისაც მსოფლიოს ოლიმპიური ოჯახის თითოეული წევრი გამალებით ემზადება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ათენში ახალი ვარსკვლავები ამობრწყინდებიან. საკუთარი სიძლიერის დამტკიცებას კიდევ ერთხელ შეეცდებიან ისინიც, ვისაც ადრეულ თამაშებზე ხელი მოეცარათ. ასეთები ჩვენშიც არიან, მაგრამ რა ვითარებაა ახლა ქართულ ოლიმპიურ ოჯახში. როგორ მიდის მზადება XXVIII თამაშებისთვის. პასუხისთვის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს ემზარ ზენაიშვილს მივმართეთ.

"ფაქტობრივად, ფინიშის სწორზე გავედით. საბედნიეროდ, ჯერჯერობით, ყველაფერი გეგმაზომიერად მიდის, - ვითარებაში გვარკვევს ემზარ ზენაიშვილი, - სპორტსმენები, გუნდები, ფედერაციები იცავენ იმ გრაფიკს, რომელიც ათენისთვის იყო შემუშავებული.

გაგრძელება B3 გვერდზე



*ემზარ ზენაიშვილი.*

## პოლიტიკა

### სერიოზული საარჩევნო დარღვევები კახეთში

28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში გამოვლენილი დარღვევების თაობაზე არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრმა" საკმაოდ ვრცელი ანგარიში გამოაქვეყნა. N21 ყარაჯალის საუბნო ოქმის მიხედვით, 5 საათიდან 8 საათამდე რეგისტრაცია 1000-მდე ამომრჩეველმა გაიარა (ანუ 12 წამში - ერთი ამომრჩეველი, რაც არარეალურია).

A4

## უცხოეთი

### ნატო-ს შტაბ-ბინასთან 26 დროშა ფრიალებს

დღეს ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინის წინ ალიანსის წევრი ქვეყნების დროშებს შვიდი ახალი ქვეყნის სახელმწიფო დროშებიც შეუერთდება. ბრიუსელის დროით დილის ათის ნახევარზე ბულგარეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, რუმინეთის, სლოვაკეთისა და სლოვენიის დროშების აღმართვის საზეიმო ცერემონია შედგება, რის შემდეგაც ალიანსის აწ უკვე 26 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვედრას გამართავენ.

A5

## ეკონომიკა

### ბიზნესი, რომელიც შეიძლება ყველაფრით და არაფრით იბეგრებოდეს

ალბათ, ყველას გინახავთ ქუჩაში ბავშვებით გარშემორტყმული, სათამაშოებით სავსე აპარატები. ფერად-ფერადი პრიზებით მხოლოდ ბავშვები კი არა, მათი მშობლებიც ინტერესდებიან. რატომაც არა - 20 თეთრი, ცოტაოდენი მოხერხებულობა და შეიძლება არც თუ ურიგო პრიზის მფლობელი გახდეთ.
"24 საათი" დაინტერესდა, ბიზნესის რა სფეროსთან გვქონდა შეხება და აპარატი, რომლის მთავარი პრინციპი მოთამაშის მოხერხებულობაა, თვეში რა სახისა და მოცულობის გადასახადებით იბეგრებოდა. ასეთმა უწყინარმა ინტერესმა სიტუაციის აბსოლუტური აბსურდულობა გამოააშკარავა.

A6

## სამართალი

### პროკურატურის კიდევ ერთი ხმაურიანი და წარმატებული დღე

კორუფციაში ბრალდებულთა მხრიდან გამოძიების პროცესში მიყენებული ზარალის ანაზღაურების სანაცვლოდ თავისუფლების მინიჭება ჯერ ჯამლეთ ბაბილაშვილის გენპროკურორობის დროს დაინერგა. თუმცა, ბუჯეტის შევსების ამ ხერხზე საქართველოში საკანონმდებლო ბაზა არც მაშინ და არც დღეს არ არსებობს.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 14 | |
| ქუთაისი | 14 | |
| ბათუმი | 14 | |
| სოხუმი | 12 | |
| ფოთი | 15 | |
| თელავი | 12 | |
| ზუგდიდი | 16 | |
| გორი | 11 | |
| ახმეტა | 14 | |
| ჭიათურა | 12 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0175 |
| ევრო | 2.4749 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7158 |
| რუბლი | 0.0708 |

## უშიშროების საბჭოს პრიორიტეტები

### იდუმალებიდან გამჭვირვალობამდე

თამარ ხორბალაძე
ლელა მჭედლიძე

*უშიშროების საბჭო, რომლის ფუნქციები და მუშაობის სტილი საქართველოში დღემდე ბურუსით იყო მოცული და რომლის გავლენის შესახებ საზოგადოებაში ლეგენდებს თხზავდნენ, იდუმალების საბურველს იხდის. საბჭოს წევრები ჟურნალისტებთან კონტაქტზე აქტიურად მოდიან და ირწმუნებიან, რომ დღეიდან მათი მუშაობა გამჭვირვალე იქნება. დღეს "24 საათს" "იშვიათი" სტუმრები ჰყავს - ჩვენი რესპონდენტები უშიშროების საბჭოს დეპარტამენტების ხელმძღვანელები პალიკო კუბლაშვილი, ბათუ ქუთელია, ლევან ნიკოლაიშვილი და დავით ახალაია არიან.*

### საბჭოს ფუნქციებზე

**- რა შეიცვალა უშიშროების საბჭოს მუშაობის სტილში ახალი ხელისუფლების მოსვლის მომენტიდან? როგორ განსაზღვრავთ**

გაგრძელება B1 გვერდზე

## ქართული დელეგაცია "ყინვაგამძლე" აღმოჩნდა

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

საქართველოს თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი რუსეთის შეიარაღებული ძალების სპეციალურად გაწვრთნილმა ქვედანაყოფმა საპატიო მარშითა და სასულე ორკესტრის თანხლებით გააცილა.

ქართული დელეგაციის მოლოდინში, კუტუზოვის გამზირზე მდებარე "პოკლონნაია გორას" სამხედრო დიდების მემორიალზე, გამარჯვების სტელასთან, რუსეთის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული ჩამწკრივდა. ტემპერატურა მინუს ათი გრადუსი იყო და და საშინელი ქარი უბერავდა. წითელ ხალიჩაზე მდგარი საქართველოს თავდაცვის მინისტრი რუს ჯარისკაცებს სამოქალაქო შეძახილით დაემშვიდობა - ნახვამდისო. ახალწვეულებისაგან დაკომპლექტებულმა ყარაულმა, რუსეთის დროშებით ხელში,

გაგრძელება A2 გვერდზე

## სტრასბურგის სასამართლო "საქართველოს წინააღმდეგ" პირველ განაჩენს გამოიტანს

ინგა ალავიძე

*პირველად ევროსასამართლოს არსებობის ისტორიაში დიდი პალატა განაჩენს გამოიტანს საქართველოს მოქალაქის საქმეზე. ზუსტად ერთ კვირაში – 8 აპრილს - სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის თავმჯდომარე სასამართლოს სხდომათა დარბაზში საზეიმოდ გამოაცხადებს "თენგიზ ასანიძე - საქართველოს წინააღმდეგ" საქმეზე გამოტანილ საბოლოო განაჩენს.*

გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე სტრასბურგიდან გამოგზავნილი შეტყობინება და სხდომაზე დასწრების ნებართვა ადვოკატმა უკვე მიიღო. ბათუმის თამბაქოს ქარხნის ყოფილი დირექტორის ადვოკატი ლია მუხაშავრია სტრასბურგში გამგზავრებას არ აპირებს.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ამბები A3 რეკლამა A4 პოლიტიკა A5 უცხოეთი A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 პროექტი
B2 რევიუ B3 სპორტი B4-B6 რეკლამა B7 კვირის TV-პროგრამა B8 სხვადასხვა

# ქართული დელეგაცია "ყინვაგამძლე" აღმოჩნდა

ხოლო წინამძღოლმა - ქარქაშიდან ამოღებული ხმლით ქართული დელეგაციის წინ ჩაიარა და თვალს მიეფარა. ამასობაში ქართული დელეგაცია კარგა გვარიანად გაიყინა. ბეჟუაშვილს თხელი ქურთუკი ეცვა, კემულარია მხოლოდ გამოსასვლელ პიჯაკში იყო გამოწყობილი, იქიდან პუტინის ადმინისტრაციაში მიდიოდა შეხვედრაზე. არ გაიყინეთ, - ჰკითხა ელჩს ბეჟუაშვილმა. "არა უშავს, მოროზოუსტოიჩივი ვარ," - უპასუხა კემულარიამ.

გვიან ბეჟუაშვილმა აეროპორტში გამგზავრებამდე გვაცნობა, რომ პირდაპირ კრემლში მიემართება, სადაც ურთიერთ კოლეგებთან საქართველო-რუსეთის სამხედრო თანამშრომლობის საკითხები უნდა განიხილონ. რუსეთის უშიშროების საბჭოში შემდგარი მოლაპარაკების შედეგებზე საუბრისას ბეჟუაშვილი ამბობს, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა საქართველოსათვის ოთხი სამხედრო ობიექტის გადმოსაცემად უკვე მზადაა. გაფორმებულია სათანადო ტექნიკური დოკუმენტაცია და სახელმწიფო კომისია ამ საკითხზე მუშაობას გააგრძელებს. რომელ ობიექტებზეა საუბარი, ბეჟუაშვილი არ აკონკრეტებს. მინისტრი აცხადებს, რომ რუსული მხარისაგან მან მიიღო საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში ჩაურევლობის მყარი გარანტია. ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ივანოვმაც გააკეთა ოფიციალური განცხადება.

კოტე კემულარიას ინფორმაციით, მოსკოვში 7 აპრილს გაიმართება საქართველო-რუსეთის სამხედრო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობაზე მინისტრების მიერ უკვე შეთანხმებულ დოკუმენტზე ხელმოწერა, ამ ოქმს ხელს მე მოვაწერ, - დასძენს ელჩი.

მართალია, რუსეთის თავდაცვის მინისტრთან და უშიშროების საბჭოს მდივანთან ბეჟუაშვილის შეხვედრების დეტალები უცნობია, მაგრამ, როგორც ჩანს, სამხედრო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობის სანაცვლოდ ქართულმა მხარემ შიდა საქმეებში ჩაურევლობის სერიოზული გარანტია მიიღო.

# პრემიერ-მინისტრი ბიუჯეტის ამბიციურობას აღიარებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, 2004 წლის ბიუჯეტი საკმაოდ ამბიციური იქნება. პრემიერ-მინისტრს იმედი აქვს, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც, სავარაუდოდ, ივლისის ბოლოსთვის ამოქმედდება, ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

როგორც ზურაბ ჟვანიამ გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, ხარჯვითი ნაწილი, შარშანდელთან შედარებით, 27 პროცენტით გაიზრდება, ხოლო შემოსავლები - 300 მლნ. ლარით.

მისივე თქმით, წინა ხელისუფლების ჩინოვნიკებისგან ამოღებული თანხებით ხელისუფლებამ ბიუჯეტის შევსების "შესანიშნავ წყაროს მიაგნო" და ამ გზით ბიუჯეტი უკვე 15 მლნ. ლარით შეივსო.

**"ეს თანხა საგადასახადო შემოსავლებთან ერთად საშუალებას იძლევა, შეუფერხებლად გაიცეს ხელფასები და პენსიები, გაიზარდოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. თუ წინა ხელისუფლების ჩინოვნიკებს ჩადენილი დანაშაული ვერ დაუმტკიცდებათ, მათ მიერ გადახდილი თანხების უკან დაბრუნება აღარ მოხდება. ისეთი ფინანსთა მინისტრი გვყავს, რომელიც ბიუჯეტში შესული თანხის უკან დაბრუნებას არანაირ შემთხვევაში არ დაუშვებს,"** - დასძინა პრემიერმა.

*24 საათი*

# სერიული დაკავებები აჭარის რკინიგზის სამმართველოში კვლავ გრძელდება

გავრცელებული ინფორმაციით, სერიული დაკავებები აჭარის რკინიგზის სამმართველოში კვლავ გრძელდება. ამჯერად ყურადღება შეჩერდა ბათუმის სადგურის უფროსზე - თამაზ ანთაძეზე, თუმცა აჭარის სატრანსპორტო პროკურორი გოგი საყვარელიძე და შს სამინისტროს პრესცენტრის თანამშრომელი დავით გერგედავა ამ ინფორმაციას, ჯერჯერობით, არ ადასტურებენ.

როგორც ცნობილია, აჭარის რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე ნუგზარ ვარშანიძე და ელდეპოს ხელმძღვანელი გია ხუხუნაიშვილი რამდენიმე დღის წინ აჭარაში დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი.

*ინტერ-პრესი*

# "ბათუმელების "ჟურნალისტების "გამაფრთხილებელი" დაკავება



გამარჯვებული პარტია აჭარის მოსახლეობის უფლებების დაცვას აგრძელებს.

**"თუ ვინმე ფიქრობს, რომ არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ რეგიონში თავისი გარანტირებული ხმები მიიღო და, შესაბამისად, არაფერი აინტერესებს, ძალიან ცდება, თანაც – მწარედ და ამას მალე საკუთარ ტყავზე შეიტყობს,"** - ამგვარი დაპირება ასლან აბაშიძეს გიგა ბოკერიამ გაუგზავნა. ამის მიზეზი კი აბაშიძის მხრიდან მმართველობის ძველი მეთოდებისაკენ მიბრუნება გახდა, კერძოდ, განსხვავებული აზრის მქონე პოლიტიკური პარტიებისა თუ ჟურნალისტების შევიწროება. ბოკერიამ გუშინ აქცენტი სამართალდამცველების მიერ გაზეთ "ბათუმელების" ორი ჟურნალისტის, ეთერ თურაძის და მზია ამღლობელის დაკავების ფაქტზე გააკეთა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამმა პოლიციელმა, დაახლოებით ხუთი საათისათვის, რუსთაველის ქუჩაზე მანქანით გაჩერებულ ჟურნალისტებს პირადობის მოწმობები შეუმოწმა. ამის შემდეგ კი მანქანიდან გადმოსვლა უბრძანა. მათ, როგორც ნარკომანობაში "ეჭვმიტანილებს", მაჯები შეუმოწმეს. ნარკოლოგიურ დისპანსერში გაყოლის თაობაზე უარის მიღების შემდეგ, თურაძე და ამაღლობელი უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროში მიიყვანეს. მდგომარეობა არც შსს პრესცენტრ დავით გერგედავასთან სატელეფონო ზარის შემდეგ შეცვლილა. გერგედავამ საქმეში ჩარევა არ ისურვა. როგორც "ეჭვმიტანილ" ჟურნალისტებს ნარკომანიასთან ბრძოლის განყოფილების უფროსმა ტარიელ ოსანიძემ აუხსნა, მათი დაკავება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა. თავად ჟურნალისტებს კი ოსანიძე იქით შეედავა: თუ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ არ ყოფილხართ, ნარკომანების თავშეყრის ადგილას რა გინდოდათო. საუბრიდან ცოტა ხნის შემდეგ ოსანიძემ თურაძე და ამაღლობელი გაათავისუფლა, ინციდენტის გამო პასუხისმგებლობა კი საკუთარ თავზე აიღო. მოგვიანებით, მასმედიის წარმომადგენლებთან საუბარში თურაძის და ამაღლობელის დაკავების ფაქტი ნარკომანიასთან ბრძოლის განყოფილების უფროსმა საერთოდ უარყო: ჩვენ არავინ დაგვიკავებია და, როგორც ჩანს, ჟურნალისტები შსს-ში საკუთარი ნებით მოვიდნენო.

*24 საათი*

# კიდევ ერთი მონიტორინგის ანგარიში

გუშინ "არჩევნების მედია ცენტრში" ახალმა არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი თაობა – ახალი ინიციატივის" წევრებმა 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნეს. ეს პირველი არჩევნებია, რომელსაც ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა კოკი იოთანაშვილმა განაცხადა, დამკვირვებლებმა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში, ასევე ცესკო-ში 100-ზე მეტი საჩივარი შეიტანეს. მისი თქმით, საჩივრების უმეტესობა პროცესუალურ დარღვევებს ეხება, თუმცა დამკვირვებლებმა კენჭისყრის დღეს განზრახ დარღვევებიც გამოავლინეს. ეს დარღვევები ზუგდიდის ერთ-ერთ საარჩევნო უბანსა და ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიაში აღმოაჩინეს. როგორც იოთანაშვილი აცხადებს, ამ კომისიებში არჩევნების შეგნებული გაყალბების მცდელობა შეინიშნებოდა.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ დამკვირვებლების მიერ დაწერილ რამდენიმე საჩივარში იმდენად მნიშვნელოვანი დარღვევა აისახება, რომ შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს საარჩევნო კომისიების მიერ შეჯამებული შედეგები და დაისვას საუბნო კომისიების წევრთა კომპეტენციის საკითხი. "ახალი თაობა – ახალი ინიციატივის" წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ არჩევნების დღეს გამოქვეყნებულ ეგზიტპოლებზე. მათი თქმით, ამით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ღიად დაარღვიეს საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლი, რომელიც პირდაპირ კრძალავს ეგზიტპოლების შედეგების გახმოვანებას არჩევნების დღის დასრულებამდე. ისინი შესაბამისი სამსახურებისგან ამ კანონდარღვევაზე რეაგირებას ითხოვენ.

*24 საათი*

# რუსთავს ლას-ვეგასად გადაქცევა ელის

ლას-ვეგასის უმსხვილესი სამორინეების მეპატრონეებმა რუსთავის გარეუბანში კაზინოების გახსნის სურვილი გამოთქვეს. როგორც პრაიმ-ნიუსს ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში აცნობეს, ამის შესახებ ნათქვამია რუსთავის მერის მერაბ ტყეშელაშვილის სახელზე 31 მარტს გამოგზავნილ ტელეფონოგრამაში.

პრაიმ-ნიუსს სამხარეო ადმინისტრაციაში ასევე აცნობეს, რომ ლას-ვეგასელი ბიზნესმენები რუსთავის გარშემო წერტილოვანი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის შესაძლებლობით დაინტერესდნენ.

რუსთავის მერიაში აცხადებენ, რომ რუსთავში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების და ინვესტორთა მოზიდვის მიზნით, წერტილოვანი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის ინიციატივით მერია და საკრებულო ახალ პარლამენტს მიმართავს.

მისი თქმით, ქალაქის საწარმოო სიმძლავრეებით და პოტენციალით უკვე დაინტერესდნენ ისეთი ცნობილი ფირმები, როგორიცაა ამერიკული "ჯენერალ მოტორსი", გერმანული "მერსედეს-ბენცი", ფრანგული "პოტენი" და იაპონური "სონი".

პრაიმ-ნიუსთან საუბარში აღნიშნული სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადა, რომ ლას-ვეგასელი ბიზნესმენების რუსთავით დაინტერესება პირველი ნიშანია იმისა, რომ ქალაქს გადაშენება არ უწერია.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ როგორც კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელი, ვალდებულია ამერიკულ ინიციატივას აქტიურად გამოეხმაუროს, რისთვისაც აპრილის ბოლოს ლას-ვეგასში ჩავა და ამერიკელ პარტნიორებთან კონკრეტულ წინადადებებს განიხილავს.

*პრაიმ-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით, უახლოეს მომავალში პრეზიდენტის პრესსამსახური ფუნქციონირებას შეწყვეტს. მის ნაცვლად შეიქმნება მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალური სამსახური, რომელსაც სოროსის ფონდის ყოფილი თანამშრომელი გიორგი სულხანიშვილი უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ცნობით, ცენტრსა და რეგიონს შორის დაპირისპირების ფონზე ასლან აბაშიძე ბათუმში პირადი უსაფრთხოების ზომებს აძლიერებს და თბილისიდან მისი ხელისუფლების წინააღმდეგ შესაძლო საბრძოლო ოპერაციის განხორციელების მოტივით, თავდაცვისთვის ემზადება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა სომხეთის თავდაცვის მინისტრმა და უშიშროების საბჭოს მდივანმა სერჟ სარქისიანმა და მისმა ქართველმა კოლეგამ, ვანო მერაბიშვილმა შეხვედრისას სოჭი-ერევნის სარკინიგზო ხაზის აღდგენის, ტრანზიტული ტვირთების მოძრაობისა და ორი ქვეყნის თანამშრომლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე ისაუბრეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გალი.** ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ზუგდიდში მცხოვრები ტარიელ შონიას გატაცების ფაქტის დაუყოვნებლივ გამოძიება მოითხოვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დანიშნა იური კვეკვესკირი, რომელიც მანამდე ამავე ადმინისტრაციის ყოფილი უფროსის რუსლან ქიშმარიას მოადგილედ მუშაობდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლეიბორისტული პარტია სახელმწიფო კანცელარიის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსად სოროსის ფონდის ყოფილი თანამშრომლის შესაძლო დანიშნვას აპროტესტებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გორი.** გუშინ, შიდა ქართლის რაიონების გამგებლებმა და 100-მდე პასუხისმგებელმა პირმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადებები დაწერეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ბათუმში დისლოცირებული 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურს რომან დუმბაძეს თანამდებობიდან გაათავისუფლებს. დუმბაძის სავარაუდო გათავისუფლების მოტივად საქართველოს თავდაცვის სამინისტროსადმი დაუმორჩილებლობა სახელდება **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის სომხური დიასპორა პრეტენზიებს უყენებს სოხუმის ხელისუფლებას აფხაზეთიდან სომეხთა დეპორტაციისა და 1993-97 წლებში, აფხაზეთში სომეხთა ჩაწერის უკანონოდ ცნობის გამო. სომხური დიასპორა არძინბას 1992-93 წლებში ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში საკუთარ დამსახურებას ახსენებს. **ინტერ-პრესი**

## ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №261

*2004 წლის 1 აპრილი ქ. თბილისი*

საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმომადგენლის შესახებ.

მიეცეს რწმუნება ირაკლი კაპანაძეს წარმოადგინოს საქართველოს პრეზიდენტის ინტერესები საქართველოს უზენაეს სასამართლოში კათოლიკეთა კავშირ "სავარდის" საკასაციო საჩივართან დაკავშირებით.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №262

*2004 წლის 1 აპრილი ქ. თბილისი*

მსოფლიო ბანკის მმართველის შესახებ.

1. გათავისუფლდეს მირიან გოგიაშვილი მსოფლიო ბანკის მმართველობის მოვალეობისაგან.
2. დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მსოფლიო ბანკის მმართველად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №263

*2004 წლის 1 აპრილი ქ. თბილისი*

აბაშის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად ნ. ხაჟალიას მივლინების შესახებ.

"საერთო სასამართლოში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აბაშის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად მივლინებულ იქნეს სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნიკოლოზ ხაჟალია.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №264

*2004 წლის 1 აპრილი ქ. თბილისი*

ნინოწმინდის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად ა. ალექსანიანის მივლინების შესახებ.

"საერთო სასამართლოში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ნინოწმინდის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად მივლინებულ იქნეს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მოსამართლე არუთინუნ ალექსანიანი.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №265

*2004 წლის 1 აპრილი ქ. თბილისი*

ა. დემეტრაშვილის საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ავთანდილ დემეტრაშვილი საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლისა და "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №112

*2004 წლის 1 აპრილი ქ. თბილისი*

"საგზაო ფონდის გადასახადების აკრეფის, შემოსავლების აღრიცხვისა და მიზნობრივი გამოყენების შესახებ დებულების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 28 ნოემბრის №483 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

"საქართველოს საგზაო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს "საგზაო ფონდის გადასახადების აკრეფის, შემოსავლების აღრიცხვისა და მიზნობრივი გამოყენების შესახებ დებულების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის დებულების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 28 ნოემბრის №483 ბრძანებულება.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №113

*2004 წლის 1 აპრილი ქ. თბილისი*

საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134 მუხლიდან გამომდინარე საქართველოს "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის შესაბამისად ძალადაკარგულია.

1. 1998 წლის 28 მაისის №355 ბრძანებულება "საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების და თამბაქოს ნაწარმის წარმოებისა და რეალიზაციის აქციზური მარკების შემოღების შესახებ".
2. 1999 წლის 28 თებერვლის №88 ბრძანებულება "საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოების იმპორტისა და რეალიზაციის აქციზური მარკების შემოღების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 მაისის №355 ბრძანებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გასატარებელ აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ.
3. 1999 წლის 31 დეკემბრის №703 ბრძანებულება "საქართველოს აქციზური მარკებით მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის რეალიზაციის მოწესრიგების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ".

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №114

*2004 წლის 1 აპრილი ქ. თბილისი*

საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 და საგადასახადო კოდექსის 260-ე მუხლიდან გამომდინარე, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აპრილის №148 ბრძანებულება "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურის საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ".
2. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 2 ნოემბრის №475 ბრძანებულება "საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 30 ივნისის №280 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანისა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს დაქვემდებარებაში აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიუროს შექმნის შესახებ".
3. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 დეკემბრის №567 ბრძანებულება "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების შესახებ".
4. ამ ბრძანებულების მე-3 პუნქტი ძალაში შევიდეს "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების ამოქმედებისთანავე.

*მიხეილ სააკაშვილი*


# საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი 2004 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებული საწვავის და საპოხ საცხები მასალების შეძენა მოწოდებასა და ავტოგასამართ სადგურებზე მომსახურებაზე, განმეორებით აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდება განხორციელდება 2004 წლის განმავლობაში ეტაპობრივად, საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ:

| N | საქონლის დასახელება | სავარაუდო რაოდენობა ლიტრებში | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ბენზინი "რეგულარი" ოქტანური რიცხვით არანაკლებ-92, სსტ-41-2000 | 115000 (ეტაპობრივი მიწოდებით) | მიმწოდებლის ბენზინ გასამართი სადგური |
| 2 | ბენზინი "სუპერი" ოქტანური რიცხვით არანაკლებ-98, სსტ-41-2000 | 55000. (ეტაპობრივი მიწოდებით) | მიმწოდებლის ბენზინ გასამართი სადგური |
| 3 | დიზელი ლ-02-62 გოსტ-305-82 | 104000 (ეტაპობრივი მიწოდებით) | საქ. ეროვნული ბანკის ა/ფარეხი გურგენის ქ.N3 და მიმწოდებლის ბენზინ გასამართი სადგური |
| 4 | ანტიფრიზი 25% | 750 ლიტ | საქ. ეროვნული ბანკის ა/ფარეხი, გურგენის ქ.N3 |
| 5 | ზეთი ძა-8 | 600 ლიტ | საქ. ეროვნული ბანკის ა/ფარეხი, გურგენის ქ.N3 |
| 6 | ზეთი უცხოური ავტომობილებისათვის სხვადასხვა სახეობის | 400 ლიტ | საქ. ეროვნული ბანკის ა/ფარეხი, გურგენის ქ.N3 |
| 7. | საპოხ საცხები მასალები სხვადასხვა | | საქ. ეროვნული ბანკის ა/ფარეხი, გურგენის ქ.N3 |
| 8 | სამუხრუჭე სითხე | 150ლიტ | საქართველოს ეროვნული ბანკის ა/ფარეხი, გურგენის ქ.N3 |
| 9 | სალიდოლი | 50კგ | საქართველოს ეროვნული ბანკის ა/ფარეხი, გურგენის ქ.N3 |

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17.00-სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);
ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);
გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);
დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);
ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);
ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).
ზ) ბოლო სამი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;
თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;
ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
ლ) საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერთიფიკატი ან ნებართვა;
მ) ქსელის განვითარების გეგმა როგორც თბილისში, ისე ქვეყნის მასშტაბით.
ნ) რეკვიზიტები: (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ე.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული პირები შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

7. საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო მონაცემთა წარდგენის ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შედეგადაც დადგინდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია, რომელიც 5 დღის ვადაში ეცნობებათ პრეტენდენტებს.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკი ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახიN124,125 ტელ./ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

ტენდერის პირობების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე (www.nbg.gov.ge).

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.**



# საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2004 წლის 7 აპრილს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება
5 000, 000 (ხუთი მილიონი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 20 ოქტომბერს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2004 წლის 7 აპრილს 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**


გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფარუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა ნიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგოშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.




## ნაკლებად ცნობილი მხარეები ბათუმის ნავთობის ტერმინალის შესახებ

ბათუმის ნავთობის ტერმინალის 95 %-ის მფლობელი უცხოელებია. მესაკუთრეებმა შეიტანეს შეერთებული შტატების კომბინირებული კერძო კაპიტალი (თავიდანვე OPIC-ის - აშშ-ს სახელმწიფო ორგანიზაცია - მიერ დაფინანსებული), ისევე როგორც შვეიცარიელმა და დანიელმა ინვესტორებმა.

ბათუმის ნავთობის ტერმინალი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს ნავთობტერმინალს საქართველოში. ამ უკანასკნელის შემდეგ ადგილს იკავებენ სუფსისა და ფოთის ტერმინალები.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება ნავთობპროდუქტების თითქმის 60 %-ი, რომელიც საქართველოს ნავთობის სატრანზიტო კორიდორით გადის მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება მხოლოდ სარკინიგზო ხაზით შემოსული 17 სხვადასხვა სპეციფიკაციის ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტი. ის არც არსებულ და არც სამომავლოდ დაგეგმილ რეგიონალურ მილსადენებს არ უწევს კონკურენციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელებმა 1999 წლიდან საქართველოში 75 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია დააბანდეს. აქედან 52 მილიონი აშშ დოლარი დაეთმო ტერმინალის რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში დასაქმებულია 2000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და ის აფინანსებს არაერთ სოციალურ და საქველმოქმედო პროგრამას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელები 2004 წლის ბოლოსათვის დაასრულებენ 5 წლიან საინვესტიციო პროგრამას საქართველოში. მათ 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია აქვთ დაბანდებული ამ ქვეყანაში.



### გადატვირთვის მოცულობები




### გადატვირთვის ტარიფები




## ბათუმი ოილ ტერმინალ ლიმიტედი

**ბათუმი**
მაიაკოვსკის ქ. 4
ბათუმი, საქართველო
ტელ.: + 995 222 760 06
ფაქსი: + 75 01 940 45 07

**ლონდონი**
გროსვენორის ქ. 18
ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
ტელ.: + 44 20 76 29 18 18
ფაქსი: + 44 20 74 99 84 35

**თბილისი**
თავისუფლების მოედანი, 4
თბილისი, საქართველო
ტელ.: + 995 32 922 567
ფაქსი: + 995 32 922 569

## სერიოზული საარჩევნო დარღვევები კახეთში

28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში გამოვლენილი დარღვევების თაობაზე არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრმა" საკმაოდ ვრცელი ანგარიში გამოაქვეყნა. ამ ორგანიზაციის დამკვირვებლები კენჭისყრის პროცესის მონიტორინგს სიღნაღისა და ლაგოდეხის საარჩევნო ოლქებში ახორციელებდნენ.

უნდა ითქვას, რომ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" დამკვირვებელთა მსგავსად, ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმაც არაერთი უხეში დარღვევა გამოავლინეს. მათი ანგარიში საკმაოდ ვრცელია და დეტალურად აღწერს იმ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლებიც ამ ოლქების საარჩევნო უბნებზე აღმოაჩინეს.

ლაგოდეხის საარჩევნო ოლქის კაბალის, განჯალის, უზუნთალისა და ყარაჯალის საარჩევნო უბნებში (ეს აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფლებია) კომისიების წევრები, ამომრჩეველთა ნაცვლად, ამომრჩეველთა სიებში ხელს თვითონ აწერდნენ. ამავე უბნებზე დამკვირვებლებმა საარჩევნო ყუთებში ჩასაყრელად გამზადებული, წინასწარ შემოხაზული საარჩევნო ბიულეტენები შეამჩნიეს. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, ყუთებში ყალბი ბიულეტენების ჩაყრა ამ უბნებზე მასობრივად ხდებოდა. ამასთანავე, ეს კეთდებოდა პარტიების მიერ წინასწარი გარიგებების საფუძველზე. გამოვლენილია, აგრეთვე, ერთი ამომრჩევლის მიერ ოჯახის სხვა წევრთა ნაცვლად ხმის მიცემის უამრავი შემთხვევა. კენჭისყრის დღეს, ადგილობრივი სოფლის გამგებლები და საკრებულოს წევრები საარჩევნო უბნებში არათუ იმყოფებოდნენ, არამედ საარჩევნო პროცესში უშუალოდ მონაწილეობდნენ კიდეც, აქტიურ აგიტაციას ეწეოდნენ. საარჩევნო უბნები საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი არ იყო.

ორგანიზაციის წარმომადგენლის გივი ამირანაშვილის თქმით, კენჭისყრის დღეს ამ უბნებზე, 12.00 და 17.00 საათამდე "კატასტროფულად, კონვეიერული წესით იზრდებოდა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა, რაც რეალურ სურათს აშკარად არ შეესაბამებოდა. მაგალითად, N21 ყარაჯალის საუბნო ოქმის მიხედვით, 5 საათიდან 8 საათამდე რეგისტრაცია 1000-მდე ამომრჩეველმა გაიარა (ანუ 12 წამში - ერთი ამომრჩეველი, რაც არარეალურია).

**"ჩვენთვის, როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლისათვის, მნიშვნელოვანია, აზერბაიჯანული მოსახლეობის საქართველოს საკანონმდებლო და პოლიტიკურ სივრცეში სრული ინტეგრაცია მოხდეს. ამისათვის კი აუცილებელია, აღნიშნულ უბნებში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას, მით უფრო, რომ ამ არჩევნებს სხვა დონის არჩევნებიც მოჰყვება. თვალის დახუჭვის შემთხვევაში, ეს პრობლემა მომავალშიც მთელი სიმწვავით გამოვლინდება და გამორიცხული არ არის, რომ მოსახლეობის დაპირისპირებამ და გაყალბების შემთხვევებმა მოგვიანებით მანამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწიოს",** - აცხადებს გივი ამირანაშვილი.

რაც შეეხება სიღნაღს. ორგანიზაციის დამკვირვებლის თქმით, ჯუგაანის საარჩევნო უბანში, საღამოს 19 საათისათვის, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა საარჩევნო ყუთში დიდი რაოდენობით ბიულეტენები ჩაყარეს. იგივე მოხდა ბოდბისხევშიც.

არასამთავრობო ორაგნიზაციის წარმომადგენლები ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ამ დარღვევების დეტალურ შესწავლას სთხოვენ.

*24 საათი*

## ოზურგეთის პოლიტიკური ცხოვრება ვარდების სურნელით გაიჟღინთა

28 მარტს საპარლამენტო არჩევნებმა სარკისებრ აირეკლა პოსტრევოლუციური ოზურგეთის პოლიტიკური ცხოვრების ავ-კარგი. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გარკვეული ცვლილებები მოხდა, მაგრამ ერთის თქმა დარწმუნებით შეიძლება, მიხეილ სააკაშვილის ქარიზმამ მაინც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა და "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები" ხმათა სოლიდური უპირატესობით (სულ ოზურგეთში 50006 ამომრჩეველი იყო, ხმა მისცა 29451-მა) გავიდა პირველ ადგილზე, ამ არჩევნებში უკვე მმართველმა პარტიამ 19134 ხმა მიითვალა აქტივში, მეორე ადგილზე გავიდა მემარჯვენე ოპოზიცია (3328 ხმა), მესამეზე - პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა" (1961 ხმა), მეოთხეზე - პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება" (1156 ხმა).

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში "ნაციონალური მოძრაობა" კი პირველობდა, მაგრამ ხმათა მონაგარი ამჟამინდელის ნახევარი იყო, რითიც ოდნავ გაუსწრო მემარჯვენეებს (7000 ხმა) და მაშინდელ სახელისუფლებო ბლოკს (6000 ხმა). მრეწველებთან შეუღლებულმა მემარჯვენეებმა ახლაც მეორე ადგილი დაიკავეს, თუმცა ხმათა გადაბირების ძველი მეთოდები არაეფექტური აღმოჩნდა. რაც შეეხება სახელისუფლებო ბლოკს, იგი შარშანდელი თოვლივით გაქრა, თან ისე, რომ ნაკვალევიც არ დაუტოვებია.

ასე რომ, 7 პროცენტიან ბარიერს ოზურგეთში ორი პოლიტიკური პარტია გადასცდა. მემარჯვენე-მრეწველები, ალბათ, შარშანდელ შედეგებსაც გაიმეორებდნენ, მათ ლიდერებს ვარდების რევოლუციის დროს შევარდნაძის დაძახილზე პარლამენტში რომ არ მიერბინათ. სხვა დანარჩენ პოლიტიკურ მოძრაობებსა და პარტიებს არც ადრე სწყალობდნენ და ახლაც დაახლოებით ის მიიღეს, რასაც ადრე იღებდნენ.

რაც შეეხება თავად არჩევნებს, მან ყოველგვარი ექსცესებისა და დარღვევების გარეშე ჩაიარა. როგორც ოზურგეთის N60 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გოჩა გორდელაძე აცხადებს, ამომრჩეველთა ხმის მიცემის კულტურაც ისე ამაღლდა, წინანდელი არჩევნებისაგან განსხვავებით, უბნებზე რიგებიც კი არ შექმნილა, თუმცა ერთგვარ სიძნელეს ქმნიდა კომისიების წევრთა და დამკვირვებელთა სიუხვე. გორდელაძე აუცილებლობად მიიჩნევს კომისიის წევრთა რაოდენობის განახევრებას, რაც მათ მუშაობას უფრო ეფექტიანს გახდის.

*თამაზ ხარაიშვილი,*
*ოზურგეთიდან*

ფოსტა

## ღია წერილი საქართველოს ფინანსთა მინისტრს ბატონ ზურაბ ნოღაიდელს, მწერალს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს ბატონ ფრიდონ ხალვაშს, ქედის რაიონის გამგეობას!

ძვირფასო ბატონებო!

ჩვენ, ქედის რაიონის მოსახლეობა საყოველთაოდ ვგმობთ მიმდინარე წლის 13 მარტს დაბა ქედაში მომხდარ ფაქტს და უკიდურეს აღშფოთებას გამოვთქვამთ მომხდარის გამო. საქმე ეხება 13 მარტს ქედის რაიონში საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბატონ ზურაბ ნოღაიდელის ჩამობრძანებას, რომელსაც ქედის მოსახლეობა სულმოუთქმელად ველოდით. მინისტრთან ჩვენი შეხვედრისას გვსურდა, გვესაუბრა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, სხვადასხვა მიმდინარე საკითხზე. თითოეულ ჩვენგანს გვაინტერესებდა სტაბილურობისა და წინსვლისთვის ახალი მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, ვინაიდან ეს ჩვენი მომავალია და დიდი იმედით შევყურებთ.

ფინანსთა მინისტრს განზრახული ჰქონდა, ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეების საშუალო და სოფელ ჯალაბაშვილების საბაზო სკოლებისათვის გადაეცა პერსონალური კომპიუტერები, რაც დიდი საჩუქარი იქნებოდა ჩვენი რაიონის მოსწავლეებისათვის. ქედის რაიონის გამგეობამ, კერძოდ, გამგებელმა ე. დევაძემ, მისმა მოადგილეებმა თ. ბერიძემ და ნ. ბარამიძემ, რიგი საკრებულოების გამგებლებმა კი ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ფინანსთა მინისტრის ვიზიტი ჩვენს რაიონში არ შემდგარიყო.

მიუხედავად იმისა, რომ საინიციატივო ჯგუფმა რაიონის ხელმძღვანელობა საქმის კურსში ჩააყენა და რაიონის კულტურის სახლის დაქირავების საკითხიც შეათანხმა, ამ ბატონებმა, ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვიტეს, მოეწყოთ პროვოკაცია, შეეკრიბათ მათი თავზეხელაღებული, დაქირავებული "შავრაზმელები", რისთვისაც თანხები არ დაუშურებიათ. შეკრებილი ბრბო ღრიანცელითა და "ბაბუ, ბაბუ"-ს ყიჟინით ქედის ცენტრში შეკრებილ ხალხს პროვოკაციაზე იწვევდა. ყველამ საკუთარი თვალით იხილა გამგებლის მოადგილეებისა და საკრებულოების გამგებლების სამარცხვინო "აქტიურობა" - ის, თუ როგორ მოუწოდებდნენ ისინი თავიანთ დაქირავებულებს, გადაეკეტათ გზა ბატონი ნოღაიდელისათვის, არ მიეცათ მისთვის ხალხთან შეხვედრის საშუალება. უწიგნურებისა და თავზეხელაღებულთა ხროვამ არ დაინდო ჩვენი კუთხის საამაყო პიროვნება ბატონი ფრიდონ ხალვაშიც, იგი თან ახლდა სტუმარს.

ქედის რაიონი ყოველთვის გამოირჩეოდა ტრადიციებით, ჩვენში სტუმარს ყოველთვის ღირსეულად ხვდებოდნენ. არც ჩვენს წინაპრებს მოუთმენიათ და არც ჩვენ მოვითმენთ სტუმართან უპატივცემულოდ და უღირსად მოპყრობას, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს. ვიწრო პარტიულმა ინტერესებმა, "ბოსებისადმი" მაამებლურმა დამოკიდებულებამ ვერ უნდა გადაჩრდილოს და შეურაცხყოს სტუმრის მიღებისა და მისი მოსმენის საუკუნოვანი ტრადიცია. დამნაშავეები საკადრისად უნდა დაისაჯონ.

ჩვენი დაჟინებული მოთხოვნაა:

ქედის რაიონის გამგეობამ საჯაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ბოდიში მოუხადოს საქართველოს ფინანსთა მინისტრს და ბატონ ფრიდონ ხალვაშს მათ მიმართ გამოჩენილი უღირსი საქციელის გამო.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მივმართავთ მშვიდობიანი პროტესტის ფორმებს, გამოვაცხადებთ საყოველთაო სახალხო დაუმორჩილებლობას.

ქედის რაიონის მოსახლეობა გულისწუხილს გამოვთქვამთ მომხდარის გამო და ბატონ ზურაბ ნოღაიდელს მივმართავთ თხოვნით, როგორმე გამონახოს დრო და საშუალება და ჩამობრძანდეს ჩვენთან.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენს თხოვნას უპასუხოდ არ დატოვებს ბატონი ზურაბი და უახლოეს ხანებში გვეწვევა.

ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ახალ მთავრობას და ყოველთვის ვიდგებით მათ გვერდით, როგორც ერთგული ჯარისკაცები.

*წერილს ხელს აწერს*
*ქედის რაიონის 150 მცხოვრები*

## მიხეილ სააკაშვილი "სეპარატისტულად განწყობილ კონდრისკაცებს" უკანასკნელად აფრთხილებს

პირველი გვერდიდან

მართალია, მუქარის ობიექტები არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ვის დაუქნია მიხეილ სააკაშვილმა თითი ვაზიანის სამხედრო პოლიგონიდან. როდესაც პრეზიდენტი საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ "სამ კერძო არმიაზე" საუბრობს, ისინი ავტონომიების ფარგლებში არსებულ იმ სამხედრო შენაერთებთან ასოცირდება, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებას არ ემორჩილებიან. უმაღლესი მთავარსარდალი მათ "შეიარაღებულ კრიმინალებს" უწოდებს და კანონგარეშედ აცხადებს.



პრეზიდენტი "კერძო არმიების" ხელმძღვანელებს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შესვლას სთავაზობს.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

პრეზიდენტი სააკაშვილი "კერძო არმიების" ხელმძღვანელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შესვლას სთავაზობს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰპირდება, რომ **"თუ ისინი ერთი ტყვიის გასროლას მაინც გაბედავენ, სათანადოდ დაისჯებიან და მათი მომავალი სამუდამოდ დამთავრდება".**

**"ყველა ის სამხედრო შენაერთი, რომელიც ქართულ არმიას არ დაემორჩილება, მოღალატედ გამოცხადდება და მთელი სიმკაცრით აგებს პასუხს,"** - მუქარას უთვლის სეპარატისტებს მიხეილ სააკაშვილი.

პრეზიდენტი არ გამორიცხავს, რომ "კერძო არმიების" განეიტრალებას და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას გუშინდელი იუბილარის - მე-11 ბრიგადის მებრძოლთა ძალისხმევაც დასჭირდეს.

**"შეიძლება მოგეცეთ საშუალება, ისტორიაში შეხვიდეთ, როგორც საქართველოს გამთლიანების მონაწილეები,"** - უცხადებს მეომრებს უმაღლესი მთავარსარდალი.

ჯარისკაცების საბრძოლო განწყობის შენარჩუნება მათი სოციალური და მატერიალურ-ტექნიკური საკითხების მოგვარების გარეშე შეუძლებელია. ეს პრეზიდენტსაც მოეხსენება, რომლის თქმითაც, ჯარის პრობლემები მისი ყოველდღიური საზრუნავია.

მიხეილ სააკაშვილი იუბილარებთან "ხელცარიელი" არ მისულა: იგი ჯარისკაცებს ხელფასების მომატებას შეჰპირდა და აუწყა, რომ უკვე მომავალი კვირიდან ისინი ახალ სამხედრო ფორმებს მიიღებენ.

**"არც ერთი ჯარისკაცი ჩაუცმელი აღარ იქნება და თითოეულ თქვენთაგანს გადმოეცემა როგორც საველე, ისე საალუმო ტანსაცმელი,"** - აცხადებს პრეზიდენტი. მისივე თქმით, სამხედრო მოსამსახურეების ყოფითი პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა მომავალშიც გაგრძელდება, რადგან **"საქართველოს აღარ ჰყავს მთავრობა, რომელიც ჯარისკაცების ფულს იპირავს."**

მიხეილ სააკაშვილიმა გუშინ ქართული არმიის უკეთ აღჭურვის პერსპექტივებზეც ისაუბრა. მისი განცხადებით, უახლოეს დღეებში საქართველოში შემოვა ახალი საბრძოლო ვერტმფრენები, დაიწყება საზღვაო ფლოტის მოდერნიზება, სამხედრო-საზღვაო ფლოტი მიიღებს ახალ გემებს, თავად მე-11 ბრიგადა კი - 20-მდე ახალ ტანკს...

ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ქვეყნის პრეზიდენტმა მე-11 მექანიზებულ-მოტომსროლელი ბრიგადა ორჯერ მოინახულა. ეს ქვედანაყოფი, რომელშიც 2400-მდე ჯარისკაცი მსახურობს, დღეს საქართველოს შეარაღებული ძალების ავანგარდს წარმოადგენს. მასში შედიან "კომანდოს", საჩხერის მე-16 სამთო, შავნაბადის 113-ე და თელავის 111-ე ბატალიონები, აგრეთვე - ჯავშანსატანკო ასეული. მოტომსროლელმა ბრიგადამ თავისი არსებობა აფხაზეთში ბრძოლებით დაიწყო და, როგორც გუშინდელ საზეიმო ცერემონიაზე აღინიშნა, "მისი ისტორია სისხლით არის დაწერილი". მე-11 ბრიგადას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე და ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი კობა კობალაძე, ამჟამად კი მას პოლკოვნიკი კობა ლაჭყებიანი მეთაურობს.

ცხადია, ერთი (თუნდაც, საკმაოდ მსხვილი) სამაგალითო სამხედრო შენაერთი არმიაში ამინდს ვერ შექმნის, ამიტომაც წუხს გენშტაბის უფროსი გივი იუკურიძე - დღეს მე-11 ბრიგადის დონეზე მომზადებული და დაკომპლექტებული სხვა ქვედანაყოფი არ არსებობს.

**"მაგრამ მალე გვეყოლება,"** - იქვე შენიშნავს იგი და განმარტავს, რომ თავდაცვის სამინისტროს განზრახული აქვს ქუთაისის ბრიგადის ბაზაზე რამდენიმე სამხედრო შენაერთის გაერთიანება და მისი სათანადოდ აღჭურვა-მომზადება.

რეფორმირება თავად თავდაცვის სამინისტროს აპარატსა და გენშტაბსაც შეეხება: იუკურიძის თქმით, თითოეული მათგანი - 200-200-ით, ხოლო მთლიანად შეიარაღებული ძალები 1500 კაცით შემცირდება.

რაც შეეხება თავდაცვის უწყების დაფინანსებას, როგორც ჩანს, სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტიდან წელს, დაახლოებით, 67 მილიონ ლარს მიიღებს, ანუ დაახლოებით იმდენს, რამდენსაც გასულ წელს. გარდა ამისა, 5-6 მილიონ ლარს გივი იუკურიძე პრეზიდენტის ფონდიდანაც ელოდება. გენშტაბის უფროსი დახმარებას საქართველოს მეგობარი ქვეყნებიდანაც მოელის და აცხადებს, რომ მათი თანადგომა, ძირითადად, "მატერიალური ფასეულობების გადმოცემაში" გამოიხატება.

ერთი სიტყვით, ქვეყნის ზედა სამხედრო ეშელონებში სჯერათ, რომ ახლო მომავალში ქართული არმია კიდევ უფრო გაძლიერდება, რამაც, წესით, პირდაპირპროპორციულად უნდა შეამციროს "სეპარატისტულად განწყობილი ქონდრისკაცების" ამბიციები.


## კონსულტანტი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის დარგში

ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენების პროექტებისთვის, ბრითიშ პეტროლეუმის ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ეძებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) დარგში კონსულტანტის თანამდებობის დასაკავებლად. იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს ბრითიშ პტროლეუმის ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

**სამუშაოს აღწერა:**
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო HSE კონსულტანტი გარემო ანგარიშვალდებული იქნება უსაფრთხოების უფროსი კონსულტანტის მიმართ. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეექმნება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

HSE კონსულტანტი უზრუნველყოფს კონსულტაციებს და მხარდაჭერას სამუშაო ძალებისთვის, რათა მათ გამოიყენონ უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკა, როგორებიცაა "ბრითიშ პეტროლეუმის უსაფრთხოების ოქროს წესები" და "მუშაობის უსაფრთხო სისტემები". ახდენს ყველა ობიექტის საქმიანობის მონიტორინგს და კონსულტაციას უწევს ზედამხედველებს, როდესაც ადგილი აქვს უსაფრთხოების კარგი პრაქტიკის დარღვევის შემთხვევებს.

**როლები და პასუხისმგებლობები**
ძირითადად როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

**წინასაექსპლუატაციო ეტაპზე:**
- დაესწროს საგეგმო შეხვედრებს და საუბრებს, სამუშაოს დაწყებამდე, რათა მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებების რისკის შეფასებაში და განისაზღვროს ყველა საფრთხე და მიღებულ იქნას სათანადო ზომები რისკის შემცირებისთვის.
- განახორციელოს მიმდინარე მუშაობის მონიტორინგი, რათა დაეხმაროს თანამშრომლებს უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკის, სახელდობრ, უსაფრთხოებიოს სავალდებულო ოქროს წესების დარღვევის შემთხვევების განსაზღვრაში
- კონსულტაციები გაუწიოს სამუშაო ძალებს, გაძლიერებული უსაფრთხოების შემოწმებასა (ASA) და უსაფრთხოების ტრენინგის პროგრამაში (STOP) მონაწილეობის მისაღებად, რათა განვითარდეს უსაფრთხოების დაცვის კულტურა.
- წეროს ანგარიშები, გააანალიზოს ASA-ს და STOP-ის ბარათები, რათა დაეხმაროს ზედამხედველებს უსაფრთხოების სწორი ქმედებების ხელშეწყობისა და საჭიროებისამებრ მაკორექტირებელი ქმედებების მხარდაჭერის საქმეში.
- ჩაატაროს გაზის ტესტები, როგორც ამას სამუშაოს ნებართვის პროცედურები მოითხოვს (PTW)
- განახორციელოს სამუშაოს ნებართვის პროცედურების (PTW) ეფექტიანობისა და სწორად გამოყენების მონიტორინგი.
- განახორციელოს სამუშაო ძალების ტრენინგის საპასპორტო სისტემის მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ მათ ჩაუტარდებათ შეთანხმებული და მათი სამუშაოს შესაბამისი ტრენინგები
- გაუწიოს დახმარება ინციდენტებისა და დაძაბული სიტუაციების გამოკვლევისას
- განახორციელოს უსაფრთხო მგზავრობისა და მოგზაურობის მენეჯმენტის გეგმის პროგრამის მონიტორინგი
- გაუწიოს გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის კონსულტანტებს დახმარება, ატმოსფეროსა და მიწაზე გამოტყორცნების მონიტორინგის საქმეში და კონსულტაციები გაწიოს ობიექტების ზედამხედველებს, როდესაც მუშაობის პარამეტრები მიუღებელია.
- საწიროებისამებრ დახმარება გაწიოს ობიექტის ზედამხედველს დაღვრილი ნავთობის დასუფთავების საქმეში
- მონაწილკეობა მიიღოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე ჩატარებულ ინსპექციებში, რათა განამტკიცოს დანადგარებისა და ოპერატორების მზადყოფნის საიმედოობა.

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
- უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
- ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
- კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
- შეეძლოს მუშაობა, როგორც ჯგუფის წევრს
- სასურველია განათლება ტექნიკურ სფეროში
- კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.
- საჭიროა საქართველოს მოქალაქეობა

**როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გათხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსით შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.**

**საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP Georgia**
**საბურთალოს ქ. N38**
**თბილისი, საქართველო.**

# ფალუჯა - პარტიზანების საყრდენი ქალაქი

ერაყში აშშ-ს დროებითი ადმინისტრაციის მეთაურმა პოლ ბრემერმა განაცხადა, რომ ოთხშაბათს ქალაქ ფალუჯაში ამერიკელთა მკვლელობები უახლოეს მომავალში იქნება გამოძიებული და დამნაშავეებიც შესაბამისად დაისჯებიან. როგორც ცნობილია, ოთხშაბათს ერაყელთა გამხეცებულმა ბრბომ ოთხი ამერიკელი სამოქალაქო კონტრაქტორი მოკლა, მათი გვამები მანქანებთან ერთად დაწვეს, შემდეგ ქუჩებში ათრიეს და ბოლოს ორი ამერიკელის ცხედარი ხიდზე ჩამოკიდეს. იმავე დღეს პატარა ქალაქ ჰაბანიაში ბომბის აფეთქების შედეგად ხუთი ამერიკელი სამხედრო დაიღუპა.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე გააკეთა შესაბამისი განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ თეთრი სახლი შოკირებულია ერაყელთა ასეთი სისასტიკით და უდანაშაულო ხალხის მკვლელობით. პოლ ბრემერის თქმით, ეს ფაქტი ხელს ვერ შეუშლის ერაყში დემოკრატიის დამყარების შეუქცევად პროცესს. **"დამნაშავეები დაისჯებიან. ერაყში კი სტაბილურობა და დემოკრატია დამყარდება,"** - განაცხადა ბრემერმა.

თუმცა, ფალუჯაში მომხდარი საშინელი ფაქტი ამერიკელთა მეხსიერებაში კიდევ დიდხანს დარჩება.

ქალაქი ფალუჯა იმ სუნიტურ სამკუთხედშია მოქცეული, სადაც ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია ანტიამერიკული და პროჰუსეინური განწყობები. ფალუჯა ერაყელი პარტიზანების ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი პუნქტია.

ამერიკელებისათვის არც გუშინდელ დღეს ჩაუვლია დანაკარგების გარეშე. აშშ-ს შეიარაღებული ძალების სამხედრო ავტოკოლონას დაუდგენელმა პირებმა ნაღმტყორცნებიდან გაუხსნეს ცეცხლი. როგორც იტყობინებიან, ამერიკელებმა ალყიდან გამოღწევა მსხვერპლის გარეშე შეძლეს, თუმცა ერაყელებმა ერთი მანქანის აფეთქება მაინც მოახერხეს. რის შედეგაც ამერიკელთა კოლონას დამხმარე რაზმმა მოუსწრო.



*ამერიკელთა სამხედრო კოლონაზე მორიგი თავდასხმის შედეგი.*

# ავღანეთს „უსაფრთხოების სარტყელს" შემოავლებენ

გუშინ დასრულდა ბერლინში გამართული საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ავღანეთის საკითხს ეძღვნებოდა. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ აშშ-ს, ევროპისა და აზიის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები და სხვა მაღალი თანამდებობის პირები. მათი შეხვედრის მთავარ თემას ავღანეთში ნარკოწარმოების მასშტაბების პრობლემის მოგვარება წარმოადგენდა. კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ავღანეთს "უსაფრთხოების სარტყელს" შემოავლებენ, რათა გააძლიერონ ნარკოსაფრთხეებთან ბრძოლა და ტრანსპორტირების მაგისტრალების გადაკეტვა. დოკუმენტს, რომელსაც "ნარკოტიკებთან ბრძოლის ბერლინის განცხადება" ეწოდება, ხელს აწერენ ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულა აბდულა და ავღანეთის მეზობელი სახელმწიფოების – ჩინეთის, ირანის, პაკისტანის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის და უზბეკეთის წარმომადგენლები. დოკუმენტი მიზნად ისახავს ავღანეთსა და მის უშუალო მეზობლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას ნარკოტიკების ტრანსპორტირების წინააღმდეგ, რაც, ძირითადად, რეგიონის ქვეყნების სპეცსამსახურებმა უნდა უზრუნველყონ.

არსებული მონაცემებით, ავღანეთი მსოფლიო ნარკობაზარზე კვლავ უპირობო ლიდერად რჩება. ნარკოტიკულ საშუალებებთან და დანაშაულთან ბრძოლის გაეროს ბიუროს მონაცემებით, ავღანეთში ოპიუმის ყოველწლიური მოსავალი სამი ათას ტონას აღემატება. ამ პროდუქციის ნახევარს ცენტრალური აზიის ქვეყნები მოიხმარენ, ხოლო მეორე ნახევარი კი, უკვე სუფთა ჰეროინის სახით რუსეთის და ევროპის ბაზარზე გაედინება.

# ნატო-ს შტაბ-ბინასთან 26 დროშა ფრიალებს

დღეს ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინის წინ ალიანსის წევრი ქვეყნების დროშებს შვიდი ახალი ქვეყნის სახელმწიფო დროშებიც შეუერთდება. ბრიუსელის დროით დილის ათის ნახევარზე ბულგარეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, რუმინეთის, სლოვაკეთისა და სლოვენიის დროშების აღმართვის საზეიმო ცერემონია შედგება, რის შემდეგაც ალიანსის აწ უკვე 26 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვედრას გამართავენ.

შვიდი ქვეყანა ნატო-ს ოფიციალურად 29 მარტს შეუერთდა, როცა მათ ვაშინგტონში ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებასთან მიერთების ნოტები ალიანსის დეპოზიტარ ქვეყანას აშშ-ს გადასცეს. ნოტები აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა, კოლინ პაუელმა ჩაიბარა, ხოლო პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა სტუმრებს საზეიმო შეხვედრა მოუწყო.

ნატო-ს ისტორიაში ეს უკვე მეხუთე გაფართოებაა. აქედან, ყველაზე ხმაურიანი, ალბათ, ცივი ომის დასრულების შემდეგ, 1999 წელს პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის ალიანსში გაწევრიანება აღმოჩნდა. რუსეთი ყოფილი მოკავშირეების ყოფილი მოწინააღმდეგის ბანაკში გადაბარგებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. ამის მიზეზი იყო როგორც ცივი ომიდან შემორჩენილი გეოსტრატეგიული აზროვნების სტილი, ასევე საკმაოდ პრაგმატული გათვლები, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების ალიანსში გაწევრიანება რუსეთს სამხედრო-სამრეწველო პროდუქციის გასაღების ბაზარს წაართმევდა. რუსეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი ამბობდა, რომ რუსეთის საზღვრებთან ალიანსის მიახლოება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და მოსკოვი უკიდურეს ზომებსაც კი მიმართავდა, რათა ეს არ დაეშვა. კრემლი კიდევ უფრო კატეგორიული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მოსკოვის "დასაშოშმინებლად" ჯერ კიდევ გაფართოებამდე პარტნიორობისა და მშვიდობისათვის პროგრამა ამუშავდა, ხოლო მოგვიანებით რუსეთსა და ალიანსს შორის პარტნიორობის პაქტიც გაფორმდა.

1999 წელთან შედარებით, ახლანდელი გაფართოება უხმაუროდ შედგა. შვიდი ქვეყანა ალიანსის ყველა ინსტიტუტის საქმიანობაში პრაქტიკულად უკვე გასული წლიდან მონაწილეობდა. ერთადერთი, მათ მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება ჰქონდათ და გადაწყვეტილებებს ვერ იღებდნენ. ახალი ქვეყნების შესვლა ნატო-ში იმდენად ლოგიკური იყო, რომ არათუ საერთაშორისო ვნებათაღელვა გამოუწვევია, არამედ, როგორც ამბობენ, თვით ალიანსის შტაბ-ბინაშიც კი ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვეს.

ახალი წევრების მიღება 2002 წლის პრაღის სამიტზე გადაწყდა. თავად ეს სამიტი 2001 წლის 11 სექტემბრისა და შემდეგ განვითარებული მოვლენების ფონზე წარიმართა და მან ნატო-ს ისტორიაში არა მხოლოდ მორიგ გაფართოებას, არამედ ასევე მის ფუნქციურ ტრანსფორმაციასაც დაუდო სათავე. ახალი ტიპის გამოწვევების პირობებში, და საერთაშორისო ტერორიზმი სწორედ ასეთ გამოწვევათა ტიპს განეკუთვნება, ნატო ტრადიციული ალიანსის სახეს იცვლის და ფართომასშტაბიანი ომის ნაცვლად მცირე ინტენსივობის კრიზისების დასაძლევად ემზადება. ცხადია, რომ ევროატლანტიკური სივრცის დაცვა კვლავაც ალიანსის უმთავრეს ამოცანად რჩება, მაგრამ, პირველად თავისი არსებობის ისტორიაში, ნატო ამ სივრცის მიღმა მოქმედებაზეც თანხმდება და ავღანეთში სამშვიდობო ოპერაციას უძღვება

ახალი ტიპის საფრთხეებმა მნიშვნელოვნად იმოქმედა რუსეთის პოზიციაზე. მოსკოვში მიხვდნენ, რომ ალიანსის გაფართოებას ვერ შეაჩერებდნენ. ამასთან, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში ამერიკელებთან თანამშრომლობა რუსეთისათვის უფრო მომგებიანია. 2002 წელს შექმნილი ნატო-რუსეთის ახალი საბჭოს პირობებში მოსკოვს პრაქტიკულად ალიანსის ყველა გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, რაც კი საერთაშორისო ტერორიზმს ან მოსკოვისათვის მნიშვნელოვან საკითხებს შეეხება. კრემლში გაფართოების ახალი ეტაპი, ძირითადად, ალიანსში ბალტიისპირეთის გაწევრიანების გამო იწვევს უკმაყოფილებას. კრემლი მოითხოვს, რომ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების პრინციპიები ამ ქვეყნებზეც გავრცელდეს. თუმცა, 1999 წელს სტამბოლში მიღებული ამ შეთანხმების ახალი ვარიანტი ჯერ ძალაში არ შესულა და ამის ერთ-ერთი მიზეზი რუსეთიცაა.

ცივი ომის დასრულების შემდეგ ბევრს მიაჩნდა, რომ ნატო-ც დაასრულებდა თავის არსებობას. ამგვარი ლოგიკა ემყარებოდა ისტორიულად დადასტურებულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ალიანსები მხოლოდ საფრთხის პირობებში იქმნება და საფრთხის გაქრობასთან ერთად იშლება. საბჭოთა კავშირის დაშლამ კი ალიანსის დაშლა არ გამოიწვია, რადგან მის წევრ ქვეყნებს არა მხოლოდ სამხედრო უსაფრთხოების საკითხები, არამედ ფასეულობათა ერთიანი სისტემაც აერთიანებდა. აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ლტოლვა ალიანსისაკენ არა მხოლოდ ვიწროდ დანახული სამხედრო უსაფრთხოებითაა განპირობებული, არამედ ერთიან ევროპულ ცივილიზაციაში მათ დაბრუნებასაც განასახიერებს. საყურადღებოა პრეზიდენტ ბუშის ჯერ კიდევ 2001 წელს გაკეთებული განცხადება, რომ "ყველა ახალი დემოკრატიისათვის ალიანსის კარი ღიაა."

## საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

აცხადებს კონკურსს
**ვაკანტურ თანამდებობებზე**

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ფარგლებში განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმა. რეფორმის არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში.

ახალი ამოცანები მნიშვნელოვნად ზრდის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ფსიქომეტრიის ჯგუფის სამუშაოს მოცულობას. შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კონკურსის წესით იწვევს სპეციალისტს შემდეგ თანამდებობაზე:

**ფსიქომეტრისტის თანაშემწე**

**ფუნქციები და პასუხისმგებლობები:**

- შერჩევის მოცულობის განსაზღვრა ტესტების გამოცდისა და პილოტირებისათვის;
- ტესტის გამოცდისა და პილოტირებისათვის სკოლების შერჩევა;
- მონაცემთა კოდირება (Excel, SPSS) და მონაცემთა ბაზების შექმნა;
- მონაცემთა ფსიქომეტრული ანალიზი;
- ოპერატორებთან მუშაობის კოორდინაცია;
- შეფასების ჯგუფის მიერ ორგანიზებულ კვლევებში მონაწილეობა;
- საინფორმაციო ბუკლეტებისათვის მასალების მომზადება;
- სამუშაო სემინარებისათვის თვალსაჩინო მასალების მომზადება.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება ფსიქოლოგიაში;
- ტესტის თეორიის ცოდნა;
- ფსიქომეტრიის ძირითადი მახასიათებლების ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ფსიქომეტრიაში;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომუნიკაციის მაღალი უნარი;
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები;
- საუკეთესო ორგანიზაციული უნარები.

**ანგარიშვალდებულება:**

ფსიქომეტრისტის თანაშემწე ანგარიშვალდებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ფსიქომეტრისტის წინაშე.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**

აღნიშნული თანამდებობა სრულ განაკვეთიანია.

თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N60, მე-2 სართული,
ოთახი N1.
ტელეფონები: 95-98-25; 96-80-78.
საკონტაქტო პირები: ალექსანდრე ბალავაძე, მერაბ თოფურია

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 15 აპრილი**

**შენიშვნა:**

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

## საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

აცხადებს კონკურსს
**ვაკანტურ თანამდებობებზე**

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ფარგლებში განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმა. რეფორმის არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოელის შესაბამისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

**გამოცდების ორგანიზატორი და ადმინისტრატორი I** (1 ვაკანსია)

**ძირითადი მოვალეობები:**

**1. სახელმწიფო გამოცდების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.**

- საგამოცდო ტესტების ბეჭდვისათვის აუცილებელი სახარჯი მასალების მობილიზაცია;
- პერსონალის შერჩევა ბეჭდვის შემდგომი პროცედურების წარსამართავად;
- დისტრიბუციის სქემის შემუშავება და პროცესის სატრანსპორტო უზრუნველყოფა;
- ბეჭდვისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპის ზოგადი კონტროლი.

**2. მეთვალყურეთა და დამკვირვებელთა შერჩევა გამოცდების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.**

- კონტაქტების დამყარება შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- ცალკეული პირების შერჩევა და მათი ინსტრუქტაჟი.

**3. გამსწორებელთა საგნობრივი კომისიების წევრთა ტრეინინგის ორგანიზაცია.**

**4. მიმდინარე საკითხების ორგანიზაციული გადაწყვეტა.**

**გამოცდების ორგანიზატორი და ადმინისტრატორი II** (1 ვაკანსია)

**ძირითადი მოვალეობები:**

**1.. სახელმწიფო გამოცდების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.**

- ინფორმაციების შეგროვება რესპუბლიკის სკოლებიდან გამოსაცდელთა კონტინგენტის შესახებ;
- საგამოცდო ტესტების ბეჭდვისა და დისტრიბუციის ორგანიზაცია;
- საგამოცდო ტესტების კონფიდნეციალობის უზრუნველყოფა მათი მოძრაობის ყველა ეტაპზე;
- კონტინგენტის განსაზღვრა საშემოდგომო გამოცდებისათვის. შესაბამისი რაოდენობის ტესტების ბეჭდვისა და დისტრიბუციის ორგანიზაცია.

**2. საგამოცდო ტესტური კითხვების პილოტირების ორგანიზაცია რესპუბლიკის სკოლებში.**

- შესაბამისი მასალების ბეჭდვის ორგანიზაცია;
- სკოლების შერჩევა;
- განრიგის შემუშავება დისციპლინების მიხედვით;
- კონსულტანტების მგზავრობის უზრუნველყოფა დანიშნულების ადგილებზე;

**3. სემინარების, კონფერენციების, საქმიანი შეხვედრების და სხვა ორგანიზაცია.**

**4. მიმდინარე საკითხების ორგანიზაციული გადაწყვეტა.**

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლების დიპლომი (უპირატესობა ენიჭება ბიზნესის ადმინისტრატორის სპეციალობას);
- ადმინისტრაციული საქმიანობის გამოცდილება;
- ორგანიზატორული ნიჭი;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება;
- კომუნიკაბელურობა.

**ანგარიშვალდებულება:**

გამოცდების ორგანიზატორები და ადმინისტრატორები ანგარიშვალდებულინი არიან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის წინაშე.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**

აღნიშნული თანამდებობები სრულ განაკვეთიანია.

თავდაპირველად ხელშეკრულებები დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N60, მე-2 სართული,
ოთახი N1.
ტელეფონები: 95-98-25; 96-80-78.
საკონტაქტო პირები: ალექსანდრე ბალავაძე, მერაბ თოფურია

**განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა
2004 წლის 15 აპრილი**

**შენიშვნა:**

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.




# ბიზნესი, რომელიც შეიძლება ყველაფრით და არაფრით იბეგრებოდეს

*ალბათ, ყველას გინახავთ ქუჩაში ბავშვებით გარშემორტყმული, სათამაშოებით სავსე აპარატები. ფერად-ფერადი პრიზებით მხოლოდ ბავშვები კი არა, მათი მშობლებიც ინტერესდებიან. რატომაც არა - 20 თეთრი, ცოტაოდენი მოხერხებულობა და შეიძლება არც თუ ურიგო პრიზის მფლობელი გახდეთ. "24 საათი" დაინტერესდა, ბიზნესის რა სფეროსთან გვქონდა შეხება და აპარატი, რომლის მთავარი პრინციპი მოთამაშის მოხერხებულობაა, თვეში რა სახისა და მოცულობის გადასახადებით იბეგრებოდა. ასეთმა უწყინარმა ინტერესმა სიტუაციის აბსოლუტური აბსურდულობა გამოააშკარავა. შესაბამისი ინსტანციების მოვლის შემდეგ მხოლოდ იმის გარკვევა შევძელით, რომ აღნიშნული საქმიანობა ამჯერად არც ერთი კანონით არ რეგულირდება.*

სოფიკო ოხანაშვილი

პირველ რიგში, საგადასახადო დეპარტამენტს მივმართეთ, სადაც ცალსახად განგვიმარტეს: **"ეს არის სათამაშო ავტომატი, სათამაშო ბიზნესი. ეს საქმიანობა არის ლიცენზირებადი. ამ საქმიანობის განხორციელებას სჭირდება ფინანსთა სამინისტროს ლიცენზია. ასე რომ, უნდა იბეგრებოდეს სათამაშო ბიზნესის მსგავსად. სათამაშო ბიზნესის გადასახადი არის ადგილობრივი გადასახადი. ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია ან შემოიღოს, ან არ შემოიღოს ეს გადასახადი",** - განაცხადა საგადასახადო დეპარტამენტის საგადასახადო პოლიტიკისა და დაბეგვრის სამმართველოს უფროსმა დავით ბულაძემ.

სიტუაციის დასაზუსტებლად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მივმართეთ. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში დაგვიდასტურეს საგადასახადო დეპარტამენტის მოსაზრება, თუმცა იქვე კატეგორიულად უარყვეს თანხის ამოღებასთან რაიმე კავშირი. **"ეს საქმიანობა იბეგრებოდა და იბეგრება როგორც სათამაშო ბიზნესი. მართალია, ეს გადასახადი არის ადგილობრივი, მაგრამ თანხების ამოღებას ახორციელებს საგადასახადო დეპარტამენტის რაიონული სამსახურები. თვითმმართველობის ორგანოს არანაირი შეხება არა აქვს თანხების ამოღებასთან".**

აღნიშნულ სათამაშო აპარატებს ბიზნესის განსხვავებულ სფეროს აკუთვნებენ ფინანსთა სამინისტროს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაციის, სათამაშო ბიზნესისა და ექსპერტიზა-უტილიზაციის დეპარტამენტში. სათამაშო აპარატი, რომელიც ნივთობრივ მოგებას ითვალისწინებს, მაგრამ მოგება მოთამაშის მოხერხებულობასა და არა შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, ფინანსთა სამინისტროსთვის სერიოზული არგუმენტია, რათა კატეგორიულად განაცხადოს, ეს საქმიანობა არ განეკუთვნება სათამაშო ბიზნესს და არ შეიძლება იბეგრებოდეს როგორც სათამაშო ბიზნესი. **"ეს არ არის ლიცენზირებადი სფერო. მე გადავხედე საბუთებს და აღმოჩნდა, რომ ფინანსთა სამინისტროს ამ სფეროზე არასდროს გაუცია ლიცენზია. ეს საქმიანობა არ არის სათამაშო ბიზნესი, რადგან მოგება დამოკიდებულია მოხერხებულობასა და არა შემთხვევითობაზე",** - განმარტა დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბესო ბარქაიამ.

თუმცა, ფინანსთა სამინისტროში გამოსავალი მაინც მოძებნეს და ბიზნესის აღნიშნულ სფეროს სამეწარმეო საქმინაობის შესახებ კანონი მიუსადაგეს. პასუხი ლაკონური, მაგრამ ძალიან ზოგადია: **"ეგ საქმიანობა უნდა რეგულირდებოდეს მეწარმის შესახებ კანონით და უნდა იბეგრებოდეს საგადასახდო კოდექსით. ამ აპარატების მფლობელი რეგისტრირებული უნდა იყოს როგორც ინდმეწარმე ან იურიდიული პირი".**

ფაქტია, რომ დღესდღეობით ამ აპარატებს ვერც ერთ კანონს ვერ მივუსადაგებთ. საკანონმდებლო ბაზაში არსებულ ლაფსუსებს ოფიციალურ სტრუქტურებშიც აღიარებენ, ოღონდ საქმე, ჯერჯერობით, საუბრის დონეზეა.

ისიც ფაქტია, რომ ეს სფერო არც აქამდე იყო მოქცეული რაიმე კანონის ფარგლებში. სხვა სფეროების მსგავსად, ამ კონკრეტული საქმინობის ფარგლებში არსებული გაურკვევლობა, საკანონმდებლო ბაზის მოუქნელობა და დაუსჯელობის სინდრომი ყველამ სათავისოდ გამოიყენა. ამ ბიზნესიდან ამოღებული თანხები ბიუჯეტის ნაცვლად კონკრეტული ადამინების ჯიბეებში მიდიოდა. **"დღეში საშუალოდ 10-15 ლარს ვიხდიდი - გააჩნია რაიონს, მაგრამ რა გადასახადს ან რა მოსაკრებელს, ვერ გეტყვით. მოდიოდნენ ჩემთან ქალაქისა და გამგეობის წარმომადგენლები, ხან ვინ და ხან ვინ. როცა ვიხდიდი, მერე აღარ მაწუხებდნენ, სად მიდიოდა ეს თანხები, არ ვიცი. ჩემთვის მთავარი იყო, რომ მუშაობაში ხელი არ შეეშალათ",** - აცხადებს სათამაშო აპარატების მფლობელი. მისი განმარტებით, ის კეთილსინდისიერად იხდიდა გადასახადებს, თუმცა რა სახის გადასახდებს იხდიდა, ზუსტად არ იცის. მისი ვარაუდით, ეს გარევაჭრობის მოსაკრებელი უნდა ყოფილიყო.

ამ ვარაუდის სიზუსტის შესამოწმებლად საკრებულოსა და გამგეობების მოსაკრებლების სამსახურის ხელმძღვანელებს მივმართეთ, რათა გაგვერკვია: აპარატი, რომელიც ქუჩაში დგას, უნდა ჩაითვალოს თუ არა გარევაჭრობად. ამ შეკითხვით კიდევ ერთი სადავო საკითხი გამოიკვეთა. სათამაშო ბიზნესის გადასახადის მსგავსად, აქაც მრავალ მოსაზრებას "წავაწყდით". არგუმენტები და პოზიციები რადიკალურად განსხვავებულია. **"იმ შემთხვევაში, თუ ეს აპარატი იქნება შენობაში, მაშინ ის დაიბეგრება როგორც სათამაშო ბიზნესი, მაგრამ როდესაც ობიექტი ქუჩაში დგას, ეს უკვე ნიშნავს, რომ ეს გარევაჭრობაა და იგი ჯიხურის მსგავსად (როგორც გარევაჭრობა) იბეგრება. ისინი უნდა მობრძანდნენ ჩვენთან გამგეობაში, უნდა აიღონ ერთ ადგილზე 15-ლარიანი ნებართვა და ჩვეულებრივ იმუშაონ. საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებით, გარევაჭრობის ეს სფერო არ იკრძალება",** - აცხადებს ვაკე-საბურთალოს მოსაკრებლების სამსახურის უფროსი ზურაბ ბერიძე. საპირისპიროს ამტკიცებენ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში: **"ეს საქმიანობა არ ექვემდებარება არც ერთი სახის ადგილობრივ მოსაკრებელს, მათ შორის - არც გარევაჭრობისას. ასე რომ, საკრებულოს დაქვემდებარებაში ეს საქმიანობა არანაირად არ შემოდის".**

ეს ერთი კონკრეტული ფაქტი ადასტურებს, რომ ჩვენი ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობასა და მაკონტროლებელთა მუშაობას აშკარად დახვეწა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხები, რომლებიც ბიუჯეტში უნდა მიედინებოდეს, ისევ კორუმპირებული ჩინოვნიკების ჯიბეებს შეავსებს.



## პროექტის სამედიცინო მრჩეველი

"BP"-ის ნავთობსადენის პროექტების განხორციელების მიზნით და "BP"-ის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას "ILA" სურვილი აქვს დაიქირავოს შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე პირი პროექტის სამედიცინო მრჩევლის თანამდებობაზე.

პროექტის სამედიცინო მრჩეველი იქნება "BP"-ის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტში მონაწილე მესამე მხარე კონტრაქტორი, რომელიც "BP"-ის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ იმუშავებს.

**სამუშაოს დახასიათება:**

გაუწიოს დახმარება პროექტის მენეჯმენტსა და პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯერს კაპიტალური ფასეულობების პროცესისა (CVP) და პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი Mმოთხოვნების შესაბამისად მიერ ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სფეროში დასახული მიზნების მიღწევაში.

პროექტის სამედიცინო მრჩევლის მთავარი ფუნქციაა დაეხმაროს საპროექტო გუნდს შემდეგი მიზნების მიღწევაში:

- აზერბაიჯან-საქართველოს ყველა უბანზე ჯანმრთელობის სათანადოდ დაცვის (Getting Health Right) ამოცანების გათვალისწინებით პროექტის სამედიცინო სტრატეგიის, პროექტის ჯანდაცვითი პროცედურისა და პროექტის ჯანდაცვითი პროგრამის განხორციელებისთვის ხელშეწყობა;
- პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს მენეჯმენტთან მუშაობა კონტრაქტორების მიერ შემოთავაზებული სამედიცინო მენეჯმენტისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამედიცინო გეგმის კრიტიკულად შესაფასებლად, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროექტის მაღალი ეფექტურობა და ხარისხი ყველა იმ საკითხში, რომელიც ჯანმრთელობისა და სამედიცინო მენეჯმენტს შეეხება.

**მოვალეობები:**

ზოგადი მოვალეობები შედგება, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი საქმიანობებით:

- საპროექტო-სამედიცინო მზადყოფნის აუდიტის გრაფიკის შემუშავება და საგანგებო სამედიცინო რეაგირებისა და სანიტარიის საკითხებში კონტრაქტორის ბანაკსა და სხვა უბნებზე აუდიტების წარმოება კომპანიის მიერ შემუშავებული მოთხოვნების შესაბამისად. ამ დროს ის იმუშავებს კონტრაქტორებთან როგორც კომპანიის აგენტი ჯანმრთელობისა და სამედიცინო საკითხებში მომზადებულობის უზრუნველსაყოფად.
- პროექტის მენეჯმენტის წარმომადგენლობა ქვეყნის სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა სახელისუფლო ორგანოებთან და პროექტის მენეჯმენტის ინფორმირება ყველა იმ ცვლილებაზე, რაც შეიძლება მოხდეს ჯანდაცვის საკითხების მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობაში (კანონები, ბრძანებულებები და ა.შ.).
- აზერბაიჯან-საქართველოში არსებული სამედიცინო მომსახურების პუნქტების ეფექტურობის, ხელმისაწვდომობისა და ხარისხის შეფასება. პროექტის მენეჯმენტისთვის რჩევების მიცემა რომელიმე ამ საშუალებასთან დაკავშირებით რაიმე ფორმალური მოქმედებების განხორციელების საჭიროების შესახებ და მათი განხორციელება პროექტის სახელით.
- ადგილობრივ სამედიცინო მომსახურების პუნქტებში განხორციელებული საპროექტო მომსახურების შემთხვევების შემოწმება პროექტის ფარგლებში დადგენილი მოვლის სათანადო სტანდარტების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად და პროექტის მენეჯმენტსა და ადგილობრივ სამედიცინო მომსახურების პუნქტებს შორის მაკავშირებელი პირის როლის შესრულება.
- პროექტის მომსახურე პირის, ისევე როგორც კონტრაქტორის (თუ ეს სათანადო პროექტის მენეჯმენტმა ითხოვა) სამედიცინო ევაკუაციის შემთხვევების შემოწმება და იმის უზრუნველყოფა, რომ რეაგირების დონე შეეფერება პროექტისაგან მოსალოდნელ ხარისხსა და ეფექტურობას.

**გამოცდილება და განათლება:**

მოთხოვნილია შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაციები:

- სამედიცინო ხარისხი.
- ტრამვების, საგანგებო სიუტაციების მედიცინის, ზოგადი თერაპიისა და/ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე კლინიკასა თუ საავადმყოფოში მუშაობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება.
- ავარიული სიტუაციებისა და საგანგებო შემთხვევების მედიცინის, პირველადი სამედიცინო დახმარების, ტრამვის გამო სასიცოცხლო დახმარებისა (ATLS) და კარდიალური სასიცოცხლო დახმარების (ACLS) კარგი და თანამედროვე ცოდნა.
- კარგი კომუნიკაციური, ორგანიზაციული, სწავლება-პრეზენტაციისა და კომპიუტერთან მუშაობის უნარი.
- აზერბაიჯანსა და საქართველოში პროექტის უბნებისთვის სპეციფიური დაავადებების ცოდნა და მათთან მუშაობის გამოცდილება;
- უნდა გააჩნდეს აზერბაიჯანსა და საქართველოში არსებული ჯანდაცვის კანონმდებლობის/სტანდარტებისა თუ მოთხოვნების ცოდნა ან მისი ეფექტურად შესწავლა; მზად უნდა იყოს და უნდა შეეძლოს ჯანდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან და საავადმყოფოების მენეჯმენტთან მუშაობა.
- უნაკლოდ უნდა ფლობდეს წართულსა და ინგლისურს.
- უნდა ჰქონდეს კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (MS Windows).
- დასავლეთის მედიცინასთან პრაქტიკული ხელშეხება (ტრეინინგის კურსები, მუშაობის გამოცდილება, და ა.შ.), პროფესიული ჯანდაცვისა და ჰიგიენის ზოგადი ცოდნა, სამედიცინო ევაკუაციის (ჰაერით, გზებით და ა.შ.) უნარ-ჩვევები და აგრეთვე პროექტის ტერიტორიის მიმდებარე უბნებზე არსებული სამედიცინო დახმარების პუნქტების ცოდნა უპირატესობად იქნება მიჩნეული.

კანდიდატი მზად უნდა იყოს, რომ საჭიროებისდა მიხედვით იმუშაოს დაშორებულ უბნებზე, თანაც გრძელი პერიოდით და ხელმისაწვდომი იყოს 24 საათის განმავლობაში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 15 აპრილი, 6:00 სთ.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38





# საქართველოში ლიზინგის ბაზარი 15-22 მილიონ დოლარს შეადგენს

*საქართველოში ლიზინგის პოტენციური ბაზარი 15-22 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ძირითადი საშუალებები ქართულ საწარმოებში სწორედ ის კომპონენტია, რომელიც ყველაზე მეტად ფინანსდება გარეშე სახსრებით, რაც პოტენციურად ლიზინგის გამოყენებასაც გულისხმობს. ძირითადი სექტორები, სადაც ლიზინგი განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს, მრეწველობა და ტრანსპორტი გახლავთ. ლიზინგის შედარებით აქტიური მომხმარებლები კი მცირე და საშუალო ზომის საწარმოები იქნებიან. ასეთი მონაცემები დაფიქსირდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) "საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის" მიერ ქვეყანაში ლიზინგის პოტენციური ბაზრის დასადგენად ჩატარებული კვლევის შედეგად (კვლევის ტექნიკური მხარე კომპანია "GORBI"-მ განახორციელა).*

ნინო ნარჩემაშვილი

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ასეთი მასშტაბური კვლევა ლიზინგის დარგში პირველად ჩატარდა. გამოკითხულ იქნა საქართველოს თერთმეტი რეგიონის 792 კომპანია. ლიზინგი, რომელიც საბანკო სესხის ალტერნატიულ ფორმას წარმოადგენს და მისი მეშვეობით შესაძლებელია მანქანა-დანადგარების და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა, ხელსაყრელი შესაძლებლობაა ქართული მცირე და საშუალო კომპანიებისათვის. როგორც IFS-ში აღნიშნავენ, ლიზინგი საქართველოსთვის სრულიად ახალი ფინანსური ინსტრუმენტია, ამიტომ არ არსებობდა არავითარი მონაცემი მასზე მოთხოვნისა და, ზოგადად, ლიზინგის პოტენციური ბაზრის მოცულობის შესახებ. კვლევა კი ძირითადად დაეყრდნო ქვეყანაში მსგავს აქტივებზე არსებულ მოთხოვნას, იმპორტირებული ძირითადი საშუალებების მოცულობასა და მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობას.

შედეგად დადგინდა, რომ ქართული კომპანიები არახელსაყრელ ბიზნესგარემოს ბიზნესის წარმატებული განვითარების შემაფერხებელ ძირითად ფაქტორად აღიქვამენ; შემდეგ სახელდება არასამართლიანი კონკურენცია, მაღალი გადასახადები და საკრედიტო რესურსების ინვესტიციების ნაკლებობა. მცირე (75 პროცენტი), საშუალო (69.7 პროცენტი) და მსხვილი (59.7 პროცენტი) კომპანიების მნიშვნელოვან ნაწილს საერთოდ არ მიუმართავს ბანკში კრედიტის მოთხოვნით.

ბიზნეს-საზოგადოება მიიჩნევს, რომ საპროცენტო განაკვეთი, გირაო და დაფარვის პერიოდი გავლენას ახდენს კომპანიის გადაწყვეტილებაზე, აიღოს თუ არა კრედიტი. ძირითად საშუალებებზე არსებული პოტენციური, 382.7 მილიონი აშშ დოლარიანი მოთხოვნის უდიდესი ნაწილი მოდის მრეწველობის წილზე. სოფლის მეურნეობის მხრიდან (მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა მთლიანი შიდა პროდუქტის 20 პროცენტს შეადგენს) მოთხოვნა ძირითად საშუალებებზე ბოლოდან მეორე ადგილზეა, ვინაიდან ქართულ კომპანიებს შეუძლიათ უცხოეთში წარმოებული ძირითადი საშუალებების შეძენა როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე საზღვარგარეთ. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ადგილობრივად შესყიდულ ძირითად საშუალებებში უპირატესობა ენიჭება საშუალებებს, რომლებიც წარმოებულია გერმანიაში (34 პროცენტი). მომდევნო ადგილებზე არიან იტალია (13.3 პროცენტი) და რუსეთი (11.8 პროცენტი). მსგავსი ტენდენცია აღინიშნება საზღვარგარეთ შესყიდულ ძირითად საშუალებებს შორისაც.

პროექტს მომდევნო კვლევა ერთი წლის შემდეგ აქვს დაგეგმილი, რომლის მიზანი იქნება ლიზინგის ბაზრის ანალიზი სექტორულ და საწარმოთა ზომის მიხედვით. იგი ასევე გვაჩვენებს ცვლილებას ლიზინგის ბაზრის მოცულობასა და მის მოთხოვნას შორის.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 5 მარტიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები ხაზინის ერთიან საშემოსავლო ანგარიშზე მოიყრის თავს და შემდგომში ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის გადანაწილდება. ეს ღონისძიება ხაზინის რეფორმის ფარგლებში ხორციელდება და გადაწყვეტილება ამ ცვლილების განხორციელების შესახებ მინისტრთა კაბინეტმა მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საოკეანო სანაოსნოს 23 აპრილიდან ახალი გემი - "ჭაბუა ამირეჯიბი" ეყოლება. დღეს ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების სამინისტროში ტანკერის შეძენასთან დაკავშირებით პრეზენტაცია მოეწყო. ორმაგკორპუსიანი "ჭაბუა ამირეჯიბი", საქართველოს საოკეანო სანაოსნოს დაკვეთით, სამხრეთ კორეულმა გემთმშენებელმა კომპანიამ "მიპო ჰიუნდაიმ" ააშენა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ვებ-გვერდი შექმნა. როგორც გუშინდელ პრეზენტაციაზე შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ თემურ ხომერიკმა განაცხადა, ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სააგენტოს სტრუქტურისა და სისტემაში მიმდინარე რეფორმის შესახებ, აგრეთვე, სიახლეები, განცხადებები ტენდერების შესახებ, 2004 წლის სამოქმედო გეგმა, სტატისტიკა, მიმწოდებელთა და პრეტენდენტთა რეესტრები. ახლადგახსნილი ვებ-გვერდის მისამართია: www.spa.iatp.ge. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" იმერეთის ფილიალის ხელმძღვანელობამ თანამშრომელთა პროფესიონალიზმის შემოწმება დაიწყო. იმერეთის ენერგოკომპანიის მენეჯერის მამუკა კიკალიშვილის ინიციატივით, გასაუბრების შედეგად წყალტუბოს ფილიალის 150 თანამშრომლიდან 110 სამსახურიდან დაითხოვეს. ვაკანტურ ადგილებზე 90-მდე ახალი კადრი მიიღეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილსრესის მე-9 ენერგობლოკი ექვსი თვით გაჩერდა. ეს გადაწყვეტილება ბლოკის მფლობელმა შპს „მტკვარმა“ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზართან შეთანხმებით მიიღო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო, ხვალ კომპანია "თელასი" ტელეანძას ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტს. როგორც "ინტერ-პრესს" "თელასში" განუცხადეს, შ.პ.ს. "ტელერადიოცენტრს" (ტელეანძა) "თელასის" მიმართ 40.000 ლარის დავალიანება გააჩნია. **ინტერ-პრესი**

# სტრასბურგის სასამართლო "საქართველოს წინააღმდეგ" პირველ განაჩენს გამოიტანს

პირველი გვერდიდან

მან გუშინ ევროსასამართლოს ამის თაობაზე წერილი გაუგზავნა და ითხოვა, გადაწყვეტილების გამოცხადებაზე დასასწრებად თავად მოსარჩელე - თენგიზ ასანიძე და მისი ვაჟი - დავით ასანიძე მიიწვიონ. ადვოკატის თქმით, თუ სასამართლო ასანიძეების სასამართლო პროცესზე დასწრების გადაწყვეტილებას მიიღებს, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თენგიზ ასანიძის სტრასბურგში ჩაყვანა უზრუნველყოს.

აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის დეიდაშვილი და აჭარაში დიდი გავლენის მქონე ფიგურა - თენგიზ ასანიძე 1993 წლის 4 ოქტომბერს სახელმწიფო ქონების მითვისების ბრალდებით დააკავეს და 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ასლან აბაშიძის ტყვე პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 2000 წელს შეიწყალა, თუმცა იგი უშიშროების იზოლატორიდან არ გამოუშვეს, რადგან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ ოპერატიულად ახალი ბრალდება წამოატივტივა. პატიმრობიდან რვა წლის შემდეგ თენგიზ ასანიძე ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის უფროსის ვაჟა გოგიტიძის მკვლელობის ორგანიზატორობაში დაადანაშაულეს და 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს;



*თენგიზ ასანიძე განაჩენს სტრასბურგის სასამართლოს დარბაზში მოისმენს.*

არადა, 1993 წელს სხვადასხვა ბრალდებებით დაკავებული ძმები ასანიძეებიდან ერთი - თამაზ ასანიძე სწორედ ამ ბრალდებით გაასამართლეს.

თენგიზ ასანიძემ აჭარის უმაღლესი სასამართლოს განაჩენი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა და იგი საბოლოოდ გამართლდა, თუმცა იგი არც ამჯერად გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

სტრასბურგის სასამართლოსთვის გაგზავნილ სარჩელში თენგიზ ასანიძე უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებასა და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 3 მილიონ დოლარს ითხოვდა.

თენგიზ ასანიძის ვაჟი - დავით ასანიძე თითქმის დარწმუნებულია, რომ გადაწყვეტილება მათ სასარგებლოდ იქნება გამოტანილი, რადგან განაჩენის გამოცხადების ამგვარი ფორმა სტრასბურგის სასამართლოს ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა. როგორც წესი, სასამართლო გადაწყვეტილებას მოსარჩელე მხარეს წერილობით აცნობებს ხოლმე.

დავით ასანიძეს იმედი აქვს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე სასამართლოს გადაწყვეტილებას აღასრულებს, რადგან იგი საკმაოდ დადებითადაა განწყობილი ევროსასამართლოს მიმართ, ამასთან, ამ სასამართლოს თავადაც გააჩნია სხვადასხვა მექანიზმი მის მიერ გამოტანილი განაჩენის აღსასრულებლად.

სამწუხაროდ, აჭარის ლიდერის უსამართლობა მძიმე ტვირთად დააწვება საქართველოს ბიუჯეტს; რადგან, როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებების დამცველი უმაღლესი სასამართლო უფლებების დამრღვევ ქვეყანას სერიოზულ საჯარიმო სანქციებს აკისრებს. სტრასბურგის სასამართლოს ძალზე ძვირად აქვს შეფასებული პირის ერთდღიანი უკანონო პატიმრობა. აღსანიშნავია ისიც, რომ სტრასბურგის დიდმა პალატამ "თენგიზ ასანიძე - საქართველოს წინააღმდეგ" საქმეში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მხარედ არ ცნო. შესაბამისად, უკანონობისთვის პასუხისმგებლობა და ფინანსური სანქციებიც საქართველოს ხელისუფლებასა და ბიუჯეტს დაეკისრება.

# „კალატოზა" სამართალდამცველების ხელშია

ხათუნა ჯანგირაშვილი

საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა, ნარკოტიკების, ყალბი ვალუტის, იარაღისა და ფალსიფიცირებული პროდუქციის უკანონო ბრუნვისა და საშიშ დამნაშავეთა ძებნა-დაკავება – ეს ის საკითხებია, რომლებსაც შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე ბაქოში, აზერბაიჯანის შს მინისტრთან შეხვედრისას განიხილავს.

გუშინ გამთენიისას, დაახლოებით, დილის შვიდის ნახევარზე ბაქოში ოფიციალური ვიზიტით გამგზავრების წინ, შინაგან საქმეთა მისნისტრმა გიორგი ბარამიძემ საკუთარ უწყებაში სპეციალური ბრიფინგი გამართა და ჟურნალისტებს ღამით, გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგები გააცნო.

მინისტრის ინფორმაციით, სპეცოპერაცია სოფელ სართიჭალაში ყველასთვის მოულოდნელად ჩატარდა და სპეცრაზმელებმა დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთი, ყველასათვის ცნობილი ლიდერი დავით ქარსელაძე, მეტსახელად - "კალატოზა" დააკავეს. როგორც სამართალდამცველები ამბობენ, ქარსელაძესთან ერთად დაკავებულია ქარსელაძის თანამზრახველი ზვიად ჩხარტიშვილი.

ჩვენი ინფორმაციით, სპეცოპერაცია სართიჭალელ ტარიელ ცალუღელაშვილის საცხოვრებელ სახლში ჩატარდა. თუმცა, წინასწარ გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, მასპინძელს "კალატოზას" დანაშაულებრივ საქმიანობასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

როგორც სამართალდამცველები ირწმუნებიან, დაკავებისას ჩატარებული პირადი ჩხრეკისას ქარსელაძესა და ჩხარტიშვილს ერთი ხელყუმბარა და ორი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი უპოვეს. ჩვენი ინფორმაციით, გუშინ დილით "კალატოზას" სახლი სოფელ გამარჯვებაშიც გაიჩხრიკა.

**"ქარსელაძე დაკავშირებულია სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულთან, კერძოდ - მკვლელობებთან, ადამიანის გატაცებებსა და სხვა სახის დანაშაულებთან. "კალატოზას" დაკავებით გადაიდგა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საზოგადოების უსაფრთხოებისა და სიმშვიდის განმტკიცების გზაზე",** - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

ვისი მკვლელობისა და გატაცების საქმეს უკავშირდება "კალატოზას" სახელი, სამართალდამცველები გუშინ განსაკუთრებული მონდომებით ასაიდუმლოებდნენ. სამართალდამცველები, ჯერჯერობით, არც იმას აკონკრეტებენ, რა სახის დანაშაულზეა საუბარი; მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ "კალატოზა" აქტიურად მოღვაწეობდა ავტოსატრანსპორტო სფეროში.

გავრცელებული ინფორმაციით, "კალატოზა" წლების განმავლობაში არა მარტო საკუთარ უბანსა და მის მიმდებარე ტერიტორიას აკონტროლებდა, არამედ მთელ საქართველოში ჰქონდა საკმაოდ დიდი გავლენა და ავტორიტეტი.

ჩვენი ინფორმაციით, ოქროს უბნელი "კალატოზა" თბილისში ეგრეთ წოდებული "მარშუტკების ბიზნესს" აკონტროლებდა. როგორც ამბობენ, მისი სახელი ხშირად ისმოდა სხვადასხვა სახის საქმიანი გარიგებების დროს. ასევე გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მას დიდი გავლენა ჰქონდა სხვადასხვა სახის ბიზნესზე და ბიზნესგარიგებებშიც იღებდა მონაწილეობას.

ერთი სიტყვით, ამჯერად უკვე თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფ "კალატოზაზე" უამრავი ზოგადი შინაარსის მქონე ბრალდება ისმის; კონკრეტულად კი, ვის მკვლელობასა და გატაცებასთან აქვს მას კავშირი, ამის შესახებ სამართალდამცველები, ჯერჯერობით, დუმილს არჩევენ.

დავით ქარსელაძის დაკავების მსგავსად, სამართალდამცველები გუშინ არასრულწლოვანი ლევან მარტიაშვილის დაკავებითაც ამაყობდნენ. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ლევან მარტიაშვილი უცხოელი დამკვირვებლების ძარცვაშია ეჭვმიტანილი. გამოძიების მონაცემებით, მარტიაშვილი რამდენიმე დღის წინ, ჯერჯერობით დაუდგენელ პირებთან ერთად, მთაწმინდის ტყე-პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ორ უცხოელს, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებზე ჩამოსულ დამკვირვებლებს, ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს - ფრედერიკ დრაფსა და ედუარდ არტურ დიკზს დაესხა თავს. თავდამსხმელებმა უცხოელ დამკვირვებლებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და წაართვეს ვიდეოკამერა, ორი ცალი ციფრული ფოტოაპარატი, მობილური ტელეფონები და ფული. როგორც პოლიციის მთავარ სამმართველოში აცხადებენ, უცხოელებისთვის წართმეული ნივთები დაკავებულს უკლებლივ ჩამოართვეს.


## შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი

ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენების პროექტებისთვის, "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ეძებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორის თანამდებობის დასაკავებლად. იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი "ბი-პი"-ს მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

**სამუშაოს აღწერა:**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი ანგარიშვალდებულია გარემოს დაცვის დარგში უფროსი კონსულტანტის მიმართ. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეექმნება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი პასუხისმგებელი იქნება:

- ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის (HSE) შესახებ ყველა ჩანაწერების წარმოებაზე, მათ შორის ანგარიშებზე, ანგარიშებზე ინციდენტების შესახებ, უსაფრთხოების სფეროში ტრენინგების პროგრამებზე (STOP) და გაძლიერებული უსაფრთხოების შემოწმებაზე (ASA), აგრეთვე ინციდენტების სტატისტიკაზე, HSE-ს მონიტორინგის მონაცემებზე და ა. შ.
- მონაცემთა ბაზის შექმნასა და შენარჩუნებაზე, ზემოთ აღნიშნული ანგარიშებიდან გამომდინარე ყველა ღონისძიების თვალის მიდევნებისათვის.

**როლები და პასუხისმგებლობები:**

ძირითადი როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

- სტანდარტული შიდა და გარე ანგარიშების მომზადება აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის ოპერაციებისთვის, შეთანხმებული განრიგის შესაბამისად
- სტანდარტული ანგარიშების მომზადება, რომლებიც საჭიროა გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების სერტიფიცირების სტანდარტებისთვის
- ყველა იმ საჭირო მონაცემების შენახვა, რომლებსაც მოითხოვენ აზერბაიჯანის/საქართველოს/თურქეთის ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მარეგულირებელი ორგანოები
- AGT HSE-ს მონაცემთა ბაზის შენარჩუნება, ყველა შემავალი და გამავალი ანგარიშებისთვის, ინციდენტების შესახებ ანგარიშების და სტატისტიკური მონაცემებისთვის, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მონიტორინგის პროგრამიდან
- ASA-ს და STOP-ის პროგრამის მონაცემებისა და თვალის მიდევნების მონაცემთა ბაზის შენახვა
- HSE-ს მონაცემების ანალიზი, ტენდენციების განსაზღვრისათვის, რათა გაუწიოს რეკომენდაცია კონცენტრირებული მენეჯმენტის ღონისძიების თაობაზე
- "ბი-პი"-ს, დარგისა და იურიდიული ინფორმაციის და სტანდარტების HSE-ს ბიბლიოთეკის შენახვა, ბრითიშ პეტროლეუმის საინფორმაციო ვებსაიტის შევსებისთვის

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
- ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
- კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
- შეეძლოს მუშაობა, როგორც ჯგუფის წევრს
- სასურველია განათლება გარემოს ტექნიკურ სფეროში
- კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.
- საჭიროა საქართველოს მოქალაქეობა

**როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გათხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსით შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.**

**საზოგადოებასთან ურთერთობის დეპარტამენტი**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP Georgia**
**საბურთალოს ქ. N38**
**თბილისი, საქართველო.**


# პროკურატურის კიდევ ერთი ხმაურიანი და წარმატებული დღე

*კორუფციაში ბრალდებულთა მხრიდან გამოძიების პროცესში მიყენებული ზარალის ანაზღაურების სანაცვლოდ თავისუფლების მინიჭება ჯერ ჯამლეთ ბაბილაშვილის გენპროკურორობის დროს დაინერგა. თუმცა, ბუჯეტის შევსების ამ ხერხზე საქართველოში საკანონმდებლო ბაზა არც მაშინ და არც დღეს არ არსებობს. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ თემაზე, ოფიციალურად, არც სამართალდამცველები და არც ის ადვოკატები საუბრობენ, რომელთა დაცვის ქვეშ მყოფმა მაღალჩინოსნებმა წინასწარი გამოძიების მიერ დასახელებული, და არა დამტკიცებული, თანხის საფასურად "თავისუფლება იყიდეს". როგორც ჩანს, ამ ეტაპზე, აპრობირებული მეთოდით ბრალდების და დაცვის მხარეც ერთნაირად კმაყოფილია. მაგრამ რა მოხდება სასამართლო განხილვის დროს, როდესაც დღევანდელი ბრალდებულები საკუთარი უდანაშაულობის მტკიცებას დაიწყებენ?*

თამარ კაციტაძე

სამომავლო პრობლემებზე საუბარი მომავლისთვის გადავდოთ, დღეს კი გაწეული მუშაობისთვის და ბიუჯეტის შევსების "შესანიშნავი წყაროს მიგნებისთვის" სამართალდამცველები და, კონკრეტულად, გენერალური პროკურორი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მადლობას იმსახურებენ.

"წყარო" კი ის მაღალჩინოსნებია, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს უდანაშაულოდ თვლიან, მაინც მზად არიან, წინასწარი გამოძიების მიერ დასახელებული მილიონების სანაცვლოდ, ციხის კედლებს დაემშვიდობონ.

მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ყოფილი ხელმძღვანელის ვახტანგ ჩახნაშვილის, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას, რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის აკაკი ჩხაიძის, სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრის დავით კირვალიძის შემდეგ, პროკურატურის მიერ დასახელებული თანხის გადახდაზე ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის დირექტორის მოადგილემ იოსებ ნატროშვილმაც თანხმობა განაცხადა.

თბილისის პროკურატურის მტკიცებით, იოსებ ნატროშვილმა 2001-2002 წლებში ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის დირექტორობის პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტს გადასახადის სახით 2.5 მლნ ლარი დაუმალა. თბილისის პროკურორის ვალერი გრიგალაშვილის განმარტებით, ნატროშვილის ბრალეულობა ენერგეტიკის საბითუმო ბაზარში ჩატარებული შემოწმების შემდეგ გამოვლინდა.

რამდენიმეთვიანი პატიმრობის შემდეგ, ორი დღის წინ, ქალაქის პროკურატურაში ნატროშვილის დაცვამ სპეციალური ქვითარი წარადგინა, სადაც აღნიშნულია, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფმა, ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის დირექტორმა ბიუჯეტის სასარგებლოდ 2.5 მილიონი ლარი გადაიხადა.

სწორედ აღნიშნული ქვითარი გახდა გუშინ იოსებ ნატროშვილის სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლების და სამთვიანი პატიმრობის გაუსვლელობის ხელწერილით შეცვლის საბაბიც.

**"თანხის გადახდა არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს ბრალის აღიარებას. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის წინააღმდეგ ბოლომდე ვიბრძოლებ, რადგან გამოძიებამ ობიექტური ჭეშმარიტება უნდა დაადგინოს. ნატროშვილი დღემდე უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა",** - აღნიშნა სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ნატროშვილის ადვოკატმა გოჩა სვანიძემ.

თუმცა, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის პროკურატურასთან ურთიერთობა ამით არ დასრულებულა. გუშინვე ცნობილი გახდა, რომ თბილისის პროკურატურა, ბიუჯეტისთვის გადასახადების გადაუხდელობის გამო, 700 ათას ლარს ედავება ბაზრის გენერალურ დირექტორს ალბერტო სოლისს, რისი დაფარვისთვისაც საქართველოში უცხოელ მაღალჩინოსანს ათდღიანი ვადა მიეცა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, აღიარა თუ არა ალბერტო სოლისმა წარდგენილი ბრალდება, ცოტა ხანში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საბითუმო ბაზარმა დასახელებული თანხა გუშინვე დაფარა. ანუ, სულ საბითუმო ბაზარმა დანაშაულში ბრალდებული მაღალჩინოსნების დასახსნელად 3 მილიონი ლარი გადაიხადა. თუმცა, როგორც თბილისის პროკურორის უფროსმა თანაშემწემ ნანა ლომაიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი საბითუმო ბაზრის გენერალურ დირექტორს პროკურატურაში, ჯერჯერობით, არ წარუდგენია.

გუშინ ბიუჯეტისთვის "საპროკურორო შემოსავალი" ამით არ დასრულებულა. თავისუფლების სანაცვლოდ 1.5 მილიონი ლარის გადახდაზე დათანხმდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციის ყოფილი მინისტრი მერაბ ადეიშვილიც, რომელსაც ბრალი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში აქვს წარდგენილი.

ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სამინისტროს მიერ ტარიფების უკანონო შეღავათების დაწესებისა და ტვირთმფლობელებისათვის გადასახადებზე თვითნებურად შეღავათების დანერგვის გამო, ტრანსპორტის პროკურატურა ყოფილ მინისტრს ამ ეტაპზე 700 ათას ლარს ედავება, მაგრამ დამატებით 800 ათასი ლარის გადახდა ადეიშვილს გამოძიებამ წინსწრებად, ანუ გამოძიების პროცესში მოსალოდნელი ზარალის გამოვლენის გამო დააკისრა.

ადეიშვილისთვის წინასწარი პატიმრობის შეცვლის საკითხს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლი დღეს განიხილავს და არ არის გამორიცხული, რომ იგი გაუსვლელობის ხელწერილით სასამართლო სხდომიდანვე გაათავისუფლოს.

ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის გადახდის საფასურად თავისუფლების მიღების პერსპექტივა გაუჩნდა წყნეთის სატყეო მეურნეობის ყოფილ დირექტორს შოთა მეფარიძესაც. გუშინ მისი გულშემატკივრები გენერალურ პროკურატურაში გამოჩნდნენ და მზადყოფნა გამოთქვეს, მეფარიძის გასათავისუფლებლად 100 ათასი ლარი გადაეხადათ. თუმცა, როგორც პროკურატურიდან გამოსული ახლობლებისგან გახდა ცნობილი, ამ ეტაპზე შეთანხმება ვერ მოხერხდა. მიწების უკანონო გასხვისებასა და თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული მეტყევის გასათავისუფლებლად, გენპროკურატურამ დასახელებულზე გაცილებით მეტი თანხა მოითხოვა. კონკრეტულად რამდენი, ჯერჯერობით, უცნობია.

ამ ეტაპზე კვლავ გაურკვეველი რჩება იმ ოთხი მაღალჩინოსნის ბედი, რომლებიც ფირმა "იმედის" საქმის გამო პატიმრობაში აღმოჩნდნენ. საბაჟო დეპარტამენტის უფროსს ლევან ქისტაურს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილეს გიორგი ბერუზაშვილს და საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს ლევან კალანდაძეს სამი თვით წინასწარი პატიმრობა ორი დღის წინ საოლქო სასამართლომაც ძალაში დაუტოვა და ისინი ამჟამად №5 საპყრობილეში იმყოფებიან. გუშინ კი, უკვე სასამართლოს ძალით, მათი ბედი გაიზიარა საგადასახადო დეპარტამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ იასე ზაუტაშვილმაც.

ზაუტაშვილი, რომელსაც გამოძიება თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში სდებს ბრალს, წინამორბედი სამეულისგან განსხვავებით, მიმალვაში იმყოფებოდა და მასზე ძებნა იყო გამოცხადებული. ორი დღის წინ კი ზაუტაშვილი გენპროკურატურაში საკუთარი ნებით გამოცხადდა და გამოძიებას თანამშრომლობასაც დაჰპირდა. მიუხედავად ამისა, გუშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლომ იასე ზაუტაშვილს დაუსწრებლად შეფარდებული წინასწარი პატიმრობა ძალაში დაუტოვა და ისიც კოლეგების გვერდით გაისტუმრა.

აღნიშნული მაღალჩინოსნები სამ თვეს გაატარებენ თუ არა საპყრობილეში, იმაზე იქნება დამოკიდებული, დაიწყებს თუ არა გამოძიება ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის დაფარვაზე მოლაპარაკებას. საქმის მასალების თანახმად, ამ ეტაპზე საუბარია 900 ათას ლარზე, რომელიც ფირმა "იმედის" ანგარიშზე უკანონოდ გაჩნდა და რომლითაც, ასევე უკანონოდ, აქციზური მარკები შეისყიდეს. თუმცა, გამოძიება არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული საქმიდან ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალი მომავალში კიდევ უფრო გაიზარდოს. სხვათა შორის, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იასე ზაუტაშვილმა 1 მლნ. ლარი უკვე გადაიხადა. მაგრამ ეს ინფორმაცია მისმა ადვოკატმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ კატეგორიულად უარყო და დასძინა, რომ ამ ეტაპზე თანხაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. ადვოკატის თქმით, თუ გამოძიების პროცესში რაიმე ფორმით დანაშაული გამოიკვეთება, არ არის გამორიცხული, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა ზარალის დაფარვაზე თანხმობა განაცხადოს, მაგრამ ამ ეტაპზე მისი ბრალეულობა არანაირად არ იკვეთება.

გარდა თანხის გადახდისა და დაპატიმრებებისა, გუშინდელი დღე გენპროკურატურისთვის საინტერესო გახდა ყოფილი პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ეკონომიკურ საკითხებში, თემურ ბასილიას სტუმრობის გამოც.

თემურ ბასილიას გენპროკურატურასში მისვლა სამჯერ მოუწია (ორჯერ მის სახელზე საშვი არ იყო დაშვებული). თემურ ბასილიას განცხადებით, მას ირაკლი ოქრუაშვილი იბარებდა. თუმცა, ყოფილი მრჩევლის აზრით, რაღაც ფორმალურ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, რადგან მისთვის ცნობილი არ არის, არის თუ არა მის წინააღმდეგ რაიმე საქმე აღძრული.

გენპროკურატურაში შეღწევის შემდეგ, ბასილიამ შენობა, დაახლოებით, 10 წუთში დატოვა და გენპროკურორთან საუბრის თემა არ გაამხილა.

**"რამდენიმე საკითხზე ზოგადად ვისაუბრეთ",** – ეს ის მოკლე კომენტარია, რაც ყოფილი პრეზიდენტის მრჩეველმა ჟურნალისტებისთვის გაიმეტა. შეხვედრაზე საუბრისგან თავი შეიკავა ირაკლი ოქრუაშვილმაც. გაგრძელდება თუ არა ბასილიას ვიზიტები პროკურატურაში და რითი დასრულდება იგი, მომავალი გვიჩვენებს.

# ავტომობილების განბაჟებასთან დაკავშირებული პრობლემა

2004 წლის დასაწყისიდან საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო გააფთრებული ბრძოლა კორუფციისა და სხვა დამნაშავეობების წინააღმდეგ. ამ დროს წამოტივტივდა ისეთი პრობლემაც, როგორიცაა განუბაჟებელი მანქანების თემა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის იმდაგვარად წამოწევამ, როგორც ეს რევოლუციის შემდგომ მოსულმა ხელისუფლებამ გააკეთა, ძალიან გააღიზიანა საქართველოს მოქალაქეთა ის ნაწილი, ვინც ავტომობილების ჩამომყვანნი თუ მყიდველნი არიან. კონკრეტულად რაზე გვაქვს საუბარი:

გაზეთ "ალიას" 2004 წლის თებერვლის თვის ნომრებში ქვეყნდება იმ ავტომობილების სია, რომლებიც თურმე განუბაჟებელი ყოფილა და საჭიროა ამ ავტომობილების განბაჟება, ამავე დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ პროკურატურა იბარებს ყველა იმ მანქანის მფლობელს, რომელიც "ალიაში" გამოქვეყნდა, რომ ქალაქის საგზაო ინსპექციას გადაეცა აღნიშნული სიები და დაევალათ რეიდების მოწყობის გზით მანქანების დაპატიმრება. უნდა აღინიშნოს, რომ "ალიაში" გამოქვეყნებული მანქანების უმრავლესობა, მართლაც, განუბაჟებელი აღმოჩნდა, თუმცა იყო გაუგებრობაც. რაც შეეხება პროკურატურაში ხალხის დაბარებას, გაზეთში გამოქვეყნებული სიების მიხედვით და საგზაო ინსპექციის მიერ რეიდების მოწყობის გზით ავტომობილების დაპატიმრებას - ეს ტყუილი გამოდგა.

გენერალურმა პროკურატურამ განუბაჟებელ მანქანებთან დაკავშირებით ფაქტზე აღძრა სისხლის სამართლის საქმე, ქალაქის საგზაო პოლიციას დროის სხვადასხვა პერიოდში რამდენჯერმე გაუგზავნა მანქანების სიები, დაახლოებით, 350 მანქანამდე (ავტომობილები შეირჩა წლოვანებისა და ფასის მიხედვით) და დაავალა მათი პროკურატურაში წარდგენა. პოლიციას ეს დავალება არა რეიდების მოწყობის გზით უნდა შეესრულებინა, არამედ ყველა მესაკუთრესთან უნდა მისულიყო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ისე მიეყვანა მანქანაცა და მისი მესაკუთრეც. ეს ასეც მოხდა, რეიდები განუბაჟებელი მანქანების გამოვლენისა და მათი პროკურატურაში წარდგენისათვის არ მომხდარა. პროკურატურაში წარდგენილ პირებს კი აბაჟებინებდნენ მანქანას და უშვებდნენ უკან. იმ შემთხვევაში თუ პირი არ განაბაჟებდა მანქანას, მაშინ დგებოდა ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლის საფუძველზეც ავტომობილი ილუქებოდა და ინახებოდა პროკურატურის ეზოში მანამ, სანამ მანქანის მესაკუთრე არ განაბაჟებდა მას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში კითხვებისა და საჩივრების შემოსვლის სიხშირემ გვაფიქრებინა ის, რომ საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს ქვემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხი:

***- რომელი მანქანა ითვლება განუბაჟებლად?***

- განუბაჟებლად ჩაითვლება ისეთი ავტომობილი, რომელსაც არ ჰქონდა დახურული შიდა საბაჟო ტრანზიტის ფორმა (შემოკლებით "შსტ", ე.წ. "ვეტეტე").

როდესაც ავტომობილი კვეთს საქართველოს საზღვარს, ივსება "შსტ", რომლის ასლიც დაუყოვნებლივ ეგზავნება საბაჟო ორგანოებს. "შსტ" მიხედვით ავტომობილის შემომყვანი ვალდებულია გამოცხადდეს საბაჟო ორგანოში მანქანის შემოყვანიდან ერთი თვის ვადაში და განაბაჟოს იგი, ამ დროს ხდება "შსტ" დახურვა და ითვლება, რომ მანქანა განბაჟებულია, ანუ თუ საბაჟო ორგანოებში არსებობს ავტომობილის ისეთი "შსტ", რომელიც დაუხურავია, ითვლება, რომ მანქანა განუბაჟებელია.

***- შესაძლებელია თუ არა ავტომობილს ჰქონდეს სარეგისტრაციო მოწმობა (ე.წ. "ტექპასპორტი") და ამავე დროს იყოს განუბაჟებელი?***

- კანონით ასეთი რამ დაუშვებელია

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესის მიხედვით, იმისათვის, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც ჯერ კიდევ განუბაჟებელია, გაიცეს სარეგისტრაციო მოწმობა, საგზაო ინსპექციის შესაბამის სამსახურში წარდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო-საბაჟო დეკლარაცია, რაც ადასტურებს მანქანის განბაჟების ფაქტს. მხოლოდ ამის შემდგომ ხდება ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა.

***- თუ აღმოჩნდა, რომ ავტომობილი, რომელსაც აქვს სარეგისტრაციო მოწმობა (ე.წ. "ტექპასპორტი"), განუბაჟებელია, მისი მესაკუთრე არის თუ არა ვალდებული გადაიხადოს განბაჟების თანხა?***

- თუ მანქანის სარეგისტრაციო მოწმობა გაცემულია საგზაო პოლიციის მიერ, მოქალაქისათვის, კეთილსინდისიერი შემძენისათვის იგულისხმება, რომ ავტომობილი განბაჟებულია და ასეთ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე არ არის ვალდებული გადაიხადოს ავტომობილის განბაჟების თანხა.

***- თუ აღმოჩნდა, რომ ავტომობილი, რომელსაც აქვს სარეგისტრაციო მოწმობა (ე.წ. "ტექპასპორტი"), განუბაჟებელია, ვინ უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე?***

- იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ ავტომობილი, რომელსაც აქვს სარეგისტრაციო მოწმობა (ე.წ. "ტექპასპორტი"), განუბაჟებელია, პასუხისმგებლობა ეკისრება იმ სახელმწიფო მოხელეს, ვინც მანქანის სარეგისტრაციო მოწმობა გასცა საგადასახადო-საბაჟო დეკლარაციის წარდგენის გარეშე. თუმცა, ეს ცალსახად არ ნიშნავს იმას, რომ უბრალო მოქალაქე არც ერთ შემთხვევაში არ აგებს პასუხს. ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს გამოძიებამ თუ დაუდასტურა პირს მისი განზრახი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, ის პასუხს აგებს კანონის წინაშე.

***- როგორ უნდა მოიქცეს პირი, რომლის მანქანასაც აქვს საგზაო პოლიციის შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა, რომელიც დააკავა პროკურატურამ და სთხოვს მანქანის განბაჟებას?***

- ასეთ შემთხვევაში ერთადერთი სამართლებრივი გზა არის სასამართლოსათვის მიმართვის გზა.

პროკურატურა ე.წ. განუბაჟებელ მანქანებს არ აკავებს, იგი უბრალოდ ინახავს თავის ავტოსადგომზე, რომელიც პროკურატურის ეზოშივეა განლაგებული. ავტომობილის დაკავება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო "აღმოსავლეთის" შესაბამისი სამსახურების მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის საფუძველზე. კანონის მიხედვით ასეთი ოქმი დაუყოვნებლივ იგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო "აღმოსავლეთის" ხელმძღვანელთან (უფროსთან), რომელიც ვალდებულია ოქმის მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში განიხილოს სამართალდარღვევის ფაქტი და გამოიტანოს დადგენილება სამართალდარღვევის ოქმში დამრღვევად მითითებული პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების ან არ დაკისრების შესახებ.

პირისათვის ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში დადგენილება, რომლითაც მას დაეკისრა პასუხისმგებლობა, შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონით გათვალისწინებული ორი გზით:

დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, კანონი იძლევა იმის საშუალებასაც, რომ მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გაუქმდეს ან შეიცვალოს:

პროკურორის პროტესტით თვით ადმინისტრაციული მოსამართლის მიერ; და
ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ - მიუხედავად იმისა არსებობს თუ არა პროკურორის პროტესტი.

იმ შემთხვევაში, თუ პირს არ დაეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, გაუქმდება ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ და დაუბრუნდება უკან საკუთარი ავტომობილი.

***- როგორ უნდა მოიქცეს პირი, თუ მას საგზაო პოლიციის შესაბამისი ორგანო უარს ეუბნება ავტომობილის აღრიცხვიდან მოხსნაზე, იმ მოტივით, რომ მიუხედავად იმისა, რომ მანქანას აქვს საგზაო პოლიციის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა, იგი განუბაჟებელია?***

- ასეთ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევაში, გამოსავალი არის სასამართლოსათვის მიმართვის გზა.

თუ საგზაო პოლიციის შესაბამისი ორგანო უარს აცხადებს მოქმედების განხორციელებაზე, ანუ ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვიდან მოხსნაზე, დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს რაიონულ სასამართლოს განცხადებით ამ ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით, რადგანაც მის ხელთ არსებული ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა ადასტურებს იმას, რომ მისი მანქანა განბაჟებულია.

***- რა ჯდება დღეისათვის ავტომობილის განბაჟება?***

- საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ავტომობილების განბაჟების საკითხს არეგულირებს სამი კანონი, რომელთაგან ამონაწერებიც იხილეთ ქვემოთ:

**1. "საქართველოს საგადასახადო კოდექსი"**

**მუხლი 273. გარდამავალი დებულებები**

1. ამოღებულია *(25.06.2002 N1586)*

2. მსუბუქი ავტომანქანების იმპორტი იბეგრება შემდეგნაირად:

ა) მსუბუქი ავტომანქანების იმპორტი , დღგ-ისა და აქციზის ნაცვლად იბეგრება ფიქსირებული გადასახადით, ძრავის მოცულობისა და მანქანის წლოვანების მიხედვით. გადასახადი გამოიანგარიშება ძრავის მოცულობისა (სმ3) და მანქანის წლოვანების შესაბამისი ნიხრის ნამრავლით. იმპორტირებული მსუბუქი ავტომანქანის წლოვანების შესაბამისი ნიხრი განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

| თანხა ლარებში | წლოვანება |
|---|---|
| 1.00 | ახალი და 1 წლის |
| 0,90 | 2 |
| 0,80 | 3 |
| 0,70 | 4 |
| 0,60 | 5 |
| 0,50 | 6 |
| 0,40 | 7 |
| 0,40 | 8 |
| 0,40 | 9 |
| 0,40 | 10 |
| 0,40 | 11 |
| 0,40 | 12 |
| 0,50 | 13 |
| 0,60 | 14 |
| 0,70 | 15 წლისა და ზევით |

ა.ბ) ამოღებულია *(25.06.2002 N1586)*

ბ) იმპორტული მსუბუქი ავტომანქანების მიწოდება დღგ-ით არ იბეგრება. *(20.03.2002 N 1343)*

2[1]. რუსეთის ფედერაციაში წარმოებული მსუბუქი ავტომანქანების იმპორტი 2003 წლის 1 იანვრამდე იბეგრება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესით. იმპორტირებული მსუბუქი ავტომანქანის წლოვანების შესაბამისი ნიხრი განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

| წლოვანება | ახალი და 6 წლამდე | 6-დან 11 წლამდე | 11 წლისა და ზევით |
|---|---|---|---|
| თანხა ლარებში | 0,50 | 0,60 | 1,00 |

*(04.07.2002 N1639)*

**2. საქართველოს კანონი "საბაჟო მოსაკრებლების შესახებ"**

მუხლი 4. საბაჟო მოსაკრებლების სახეები

საბაჟო მოსაკრებლების სახეებია მოსაკრებლები, რომლებიც გადაიხდევინება საქონლის საბაჟო დათვალიერების ან/და გაფორმებისათვის.

მუხლი 5. საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთები

საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთებია:

-

-

-

***დ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 24 საათზე მეტი ვადით შემოსაყვანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დათვალიერების ან/და გაფორმებისათვის – ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე 10 ლარი. (26.08.2003 N3048)***

**3. საქართველოს კანონი "საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ"**

მუხლი 16. საბაჟო გადასახადის განაკვეთები

-

-

-

2. საბაჟო გადასახადის განაკვეთები საქართველოში დიფერენცირებულია და განისაზღვრება პროცენტულად - დასაბეგრი საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ, ან ლარებით - დასაბეგრი საქონლის ერთეულის მიმართ:

-

-

***3. მსუბუქი ავტომანქანის იმპორტისას საბაჟო გადასახადი განისაზღვრება 0,05 ლარით ავტომანქანის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე, პლუს საბაჟო გადასახადის თანხის 5 პროცენტი ავტომანქანის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის.***

მაგალითისათვის გამოვიანგარიშოთ 10 წლის ავტომობილის განბაჟებისათვის გადასახდელი თანხა, რომლის მოტორის მოცულობაც 2000 კუბური სანტიმეტრია (OPEL-VECTRA 2.0)

*საგადასახადო კოდექსის მიხედვით:*

0.40*2000=800 ლარი

*საბაჟო მოსაკრებლების შესახებ კანონის მიხედვით:*

10 ლარი

*საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ კანონის მიხედვით:*

2000x0.05=100 ლარი
100/100x5=5 ლარი
5x10=50
სულ:155 ლარი

მთლიანად, განხილული მაგალითის საფუძველზე გასაბაჟებელმა თანხამ შეადგინა: 800+10+155= **965 ლარი**

***- სად უნდა განბაჟდეს ავტოსატრანსპორტო საშუალება?***

-ავტოსატრანსპორტო საშუალების განბაჟება შესაძლებელია ოთხ რეგიონალურ საბაჟოთაგან ნებისმიერ ადგილას, ეს საბაჟოებია:

დასავლეთის რეგიონალური საბაჟო - ფოთი;
აღმოსავლეთის რეგიონალური საბაჟო - თბილისი;
ჩრდილოეთის რეგიონალური საბაჟო- ნატახტარი;
სამხრეთის რეგიონალური საბაჟო - ახალციხე.

www.24hours.ge 24 B

# უშიშროების საბჭოს პრიორიტეტები

## იდუმალებიდან გამჭვირვალობამდე

A1 გვერდიდან

**ბათუ ქუთელია, პოლიტიკური უსაფრთხოების დეპარტამენტი:** უშიშროების საბჭოს ძირითადი დანიშნულება სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაა. ეს კი ვერ მოხერხდება, თუ არსებული სიტუაციის და რესურსების ანალიზი არ გაკეთდა. როცა სხვადასხვა საკითხებზე ვიწყებთ მუშაობას, ამაში სხვადასხვა უწყებათაშორისი სტრუქტურები მონაწილეობენ. საბჭო პრეზიდენტთან არსებული სათათბირო ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია პრეზიდენტისთვის ალტერნატიული გადაწყვეტილებების მომზადებაზე, რეკომენდაციების შემუშავებაზე. თუმცა, ეს მისი მუშაობის ბოლო ეტაპია. მანამდე სრულდება ინფორმაციის შეგროვებისა და უწყებების კოორდინირების სამუშაო.

რაც შეეხება კონკრეტულად ჩემს დეპარტამენტს, იგი საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს: საგარეო პოლიტიკურ უსაფრთხოებას, ადამიანის უფლებებს, კონფლიქტებს და ა.შ. დეპარტამენტის ფუნქციაში შედის ამ საკითხების კოორდინირება. ნებისმიერ ქვეყანაში, მით უმეტეს - საქართველოსავით პატარაში, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხდება კონკრეტული პრიორიტეტების განსაზღვრა, რაზეც ძირითადი რესურსები გამოიყოფა. ჩვენს შემთხვევაში პრიორიტეტი სამხედრო აღმშენებლობაა.

**პალიკო კუბლაშვილი, ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინაციის დეპარტამენტი:** მნიშვნელოვანია, რომ საბჭო აღარ წარმოადგენს ბიუროკრატიულ მექანიზმს, რომელიც მიწერ-მოწერით არის დაკავებული. რაც შეეხება ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინაციას, საბჭოს კომპეტენციაში ეს საკითხი სულ ბოლო პერიოდში, 2004 წლიდან აღმოჩნდა. ალბათ, დამატებით იმის განმარტება, თუ რატომ მოხდა ასე, საჭირო არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანი სენი, რაც ხელს უშლის ქვეყნის აღმშენებლობას, არის კორუფცია. თავისთავად, ერთ-ერთი პრიორიტეტი კორუფციული ბარიერის დაძლევა უნდა იყოს.

### თავდაცვაზე

**ლევან ნიკოლაიშვილი, თავდაცვის საკითხთა დეპარტამენტი:** ჩემი დეპარტამენტის დანიშნულება თავდაცვის სამინისტროსთან და გენერალურ შტაბთან კოორდინირებული მუშაობაა. ჩვენი საქმიანობის სფეროს, ნაწილობრივ, სასაზღვრო ჯარებიც განეკუთვნება, მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრუქტურა უკვე შსს დაქვემდებარებაში შედის.

ყველაზე დიდი ცვლილება, რომელიც ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან შეიარაღებულ ძალებში - თავდაცვის სამინისტროში განხორციელდა, უწყების სამოქალაქო სტრუქტურად გადაკეთებაა. დაინიშნა სამოქალაქო მინისტრი, გენერალური შტაბის ხელმძღვანელი გახდა პირველი სამხედრო პირი, რომელიც შეირაღებულ ძალებს ხელმძღვანელობს.

ჩვენი ამოცანა ახალ და ძველ კადრებთან ერთობლივი მუშაობაა. ჩვენი მიზანია მათთვის დახმარების აღმოჩენა სტრუქტურული ცვლილებების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით სწრაფად ხდება ბიუროკრატიული მომენტების აღმოფხვრა თვითონ აპარატში. შეიარაღებულ ძალებში სტრუქტურის ცვლილებაზე მუშაობენ როგორც ქართველ, ისე უცხოელ ექსპერტთა ჯგუფები. გვეხმარება მრჩეველთა საერთაშორისო საბჭო, გადამდგარი გენერლის ჰარი ჯონსონის მეთაურობით. არის ამერიკელების კუბიკის ჯგუფი, ოთარ შალიკაშვილის ჯგუფი და სხვა.

**- რა არის რეფორმების საბოლოო მიზანი ანუ საით მიდის ჩვენი ჯარი?**

**ლევან ნიკოლაიშვილი:** ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ პრეზიდენტის დამოკიდებულება შეიარაღებული ძალებისადმი განსაკუთრებულია. საუბარია არა მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირებზე, არამედ - თითოეულ ჯარისკაცზე. ეს, სამხედრო ნაწილებში სტუმრობის გარდა, კონკრეტული დახმარებების ფაქტებითაც მტკიცდება. უშიშროების საბჭოს კომპეტენციაში შემოდის ჯარისკაცთა კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენთან მოხვდება კონკრეტულ საკითხებზე განცხადება ან საჩივარი. გარდა ამისა, გავდივართ სამხედრო ნაწილებში, პრობლემებს ადგილზე ვსწავლობთ და, შესაძლებლობის ფარგლებში, მათ ოპერატიულად ვწყვეტთ.



დათო ახალაია და პალიკო კუბლაშვილი

**- ანუ ეს ნიშნავს, რომ საბჭო დღეს ერთგვარად მეხანძრის როლშია. ამავე დროს, საინტერესოა, თუ საჯარისო ნაწილებში რამდენად კარგად არიან ინფორმირებულნი თქვენი ამ ახალი ფუნქციის შესახებ, ანუ იმის შესახებ, რომ შეუძლიათ კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად თქვენ მოგმართონ?**

**ლევან ნიკოლაიშვილი:** ქვეყანა გარდამავალ პერიოდში იმყოფება და ახლა მეხანძრის როლი და ფუნქცია საკმაოდ საპატიოა. გარდა ამისა, თანამდებობის პირებმა სხვადასხვა ნაწილებზე შეფობა აიღეს. ისინი ყოველ კვირაში მიდიან ნაწილებში. ამ ვიზიტების შესახებ წინასწარ არ ვაფრთხილებთ. მაგალითად, ვიყავით ნაწილში და კვების რაციონის შესამოწმებლად ვისადილეთ. მეორე მისვლაზე ეს რაციონი უკვე გაიზარდა. ჯარისკაცს საკვები თუ აკლია, ის სრულყოფილი ჯარისკაცი ვერ იქნება. ანუ, ახლა ასეთი ქმედებები თავად ხელისუფლების მხრიდან სულ სხვაგვარ მიდგომად აღიქმება.

**- აქ ითქვა, რომ თავდაცვა დღევანდელი მთავრობის პრიორიტეტია. რაში გამოიხატება ეს პრიორიტეტულობა, გარდა იმ სადემონსტრაციო, გნებავთ, პიარგასვლებისა ადგილებზე?**

**ლევან ნიკოლაიშვილი:** ამისთვის, პირველ რიგში, ხდება დაფინანსების გაზრდა, სამხედროების გაწვრთნა, ხდება სტრუქტურის ცვლილება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, შეიარაღების და საკადრო პოლიტიკის გაუმჯობესება, ანუ - ოფიცრების სწორად გამოყენება. ჩვენ 24 გენერალი გვყავდა. თითოეულ გენერალზე უნდა მოდიოდეს, მინიმუმ, 2000-კაციანი ჯარი. ეს საკმაოდ დიდი ციფრი გამოდის. ამხელა შეიარაღებული ძალების ყოლის საშუალება საქართველოს არ აქვს. უნდა მოხერხდეს ამ კადრების სწორად გამოყენება, მოხდეს კადრების სწორი დაგეგმარება და მათი მომზადება უცხოეთში ან საქართველოში.

**- რამდენად ხორციელდება პრეზიდენტის პირობა იმის თაობაზე, რომ სამხედრო სამსახურგაუვლელი კადრი თანამდებობაზე ვერ დაინიშნება?**

**ლევან ნიკოლაიშვილი:** ეს განხორციელებადია. თუმცა, შეგახსენებთ: პრეზიდენტის მეორე ინიციატივა იყო, რომ თანამდებობის პირებმა გარკვეული დროის განმავლობაში, როგორც რეზერვისტებმა, შეიარაღებულ ძალებში ჩვეულებრივი მომზადება გაიარონ. ეს უახლოეს პერიოდში განხორციელდება და იქნება არა მხოლოდ სტიმული ჯარისკაცებისთვის, არამედ თავად ხელისუფლების წევრებს გაუადვილებს პრობლემების ხედვას და მათზე მუშაობას.

### ნატო-ში ინტეგრაციაზე

**- რაც შეეხება ნატო-ში ინტეგრაციის თემას. რამდენად და როდის უპასუხებს ქართული ჯარი და ქართული სახელმწიფო ნატო-ს მოთხოვნებს?**

**ბათუ ქუთელია:** დღეს ბრიუსელში ექსპერტთა ჯგუფი მუშაობს ინდივიდუალური პარტნიორული სამოქმედო გეგმის დასახვეწად, რომელიც შემდეგ წევრობის სამოქმედო გეგმის საფუძველი გახდება. ეს არის ახალი ინიციატივა და ყველაზე კარგად ჩვენ ვასრულებთ, თუმცა სულ რამდენიმე თვის წინ სერიოზული პრობლემები იყო ისევ და ისევ პოლიტიკური ნების არარსებობის გამო.

**- რა ნაბიჯების გადადგმისთვის არ ჰყოფნიდა ყოფილ ხელისუფლებას პოლიტიკური ნება?**

**ბათუ ქუთელია:** არ იყო რეფორმების გატარების პოლიტიკური ნება. იგივე თავდაცვის სტრუქტურის სამოქალაქო უწყებად გადაკეთება უზარმაზარი პრობლემა იყო და ამის გამო, ეს პერსპექტივა კინაღამ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ნატო-ს წევრობა თვითმიზანი არ არის, ნატო და ევროატლანტიკური სტრუქტურები არის ჩვენთვის შუქურა, რომლისკენაც უნდა ვიმოძრაოთ. დღეს ამორფულ სიტუაციაში ვართ და გვინდა ნიშნული, საით უნდა წავიდეთ, რა ტიპის ქვეყანა უნდა ჩამოყალიბდეს. ქვეყანა რომ ნატო-ში გაწევრიანდეს, არის ხუთ სხვადასხვა სფეროდ დაყოფილი მოთხოვნები - პოლიტიკური, თავდაცვითი, ეკონომიკური, სოციალური, ადამიანის უფლებების თვალსაზრისით. თუ რომელიმეში პრობლემა გაქვს, შეგიძლია ნატოში გაწევრიანებაზე არც იოცნებო. თუ ჩვენ ამ ხუთი მიმართულებით პროგრესს მივაღწიეთ, მაშინ თამამად შეგვიძლია, აღარავის ვეხვეწოთ - თავად ევროპული თანამეგობრობა იქნება დაინტერესებული, რომ ჩვენთან ურთიერთობა და ინტეგრაცია გააღრმაოს.

**- რამდენად რეალურია ამის მიღწევა?**

**ბათუ ქუთელია:** არ არის ძალიან რთული. 6 თვის წინ თავდაცვის სამინისტროს რეფორმის განხორციელება საკმაოდ რთულად გვეჩვენებოდა, მაგრამ ლევანი დამეთანხმება, რომ რაც ადრე გასაკეთებელ გეგმებში გვეწერა, ახლა განხორციელებულ საკითხებში წერია. რაც გასაკეთებელია, ის კონკრეტულ ვადებზე არის გაწერილი. ისევ ვიმეორებ - აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ თავდაცვაზე, საუბარია აბსოლუტურად ყველა სფეროზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე, სასაზღვრო პრობლემების მოგვარებაზე, ეკონომიკის ფეხზე დაყენებაზე... ეს არის ის "ჩონჩხი", რომელზეც ქვეყანა უნდა ააშენო. ამასთან, ნატო არ ითხოვს, რომ გაწევრიანებამდე აუცილებლად საბოლოო შედეგი უნდა იყოს მიღწეული. მაგალითად, ბალტიის ქვეყნებს არ ჰქონდათ მოგვარებული სასაზღვრო პრობლემები რუსეთთან. რუსეთი სპეციალურად უქმნიდა პრობლემებს მათ ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ფიქრობდა, რომ ამით ნატო-ში მათ გაწევრიანებას დაბლოკავდა. მაგრამ ნატო-ს მოთხოვნა არის ასეთი: ქვეყანამ უნდა აჩვენოს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად იგი ყველაფერს, თავისი ძალების მაქსიმუმს აკეთებს. მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა აჩვენეს, რომ ყველაფერს აკეთებდნენ, მაგრამ რუსეთის მხარეს ყრუ კედელს ხვდებოდნენ. ნატო-მ აღნიშნა, რომ პრობლემა არსებობს, მაგრამ - არა ბალტიისპირეთის ქვეყნების მიზეზით და ეს მათი გაწევრიანებისთვის პრობლემად აღარ გაუხდიათ. ასეთ შემთხვევაში ქვეყანა ნატო-ში გაწევრიანდება და ნატო მას პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება.

### სპეცოპერაციებზე...

**- ბატონო დავით, თქვენი დეპარტამენტი ბოლო დროს ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციების კოორდინატორის როლში გამოდიოდა. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ამ სპეცოპერაციების დროს ბევრი შეცდომა იყო დაშვებული?**

**დათო ახალაია, სამართალდამცავ ორგანოებთან და სპეცსამსახურებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** რა შეცდომებზეა საუბარი? გაუთვალისწინებელი შემთხვევები ნებისმიერი ოპერაციის დროს არის შესაძლებელი. რაც შეეხება მკალავიშვილს - ამ ოპერაციაში პირადად ვმონაწილეობდი და გეტყვით, რომ მკალავიშვილის სხვაგან აყვანა შეუძლებელი იყო, რადგან მას უპრობლემოდ შეეძლო გაქცევა. მართალია, მან დღისითმზისით მთაწმინდაზე პრესკონფერენცია ჩაატარა და პოლიციამ იგი არ ან ვერ დააკავა (ეს შეცდომა იყო), მაგრამ ოპერაციას ალტერნატივა არ ჰქონდა.



ლევან ნიკოლაიშვილი და ბათუ ქუთელია

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ იმ ოპერაციებს, რომელთა კოორდინაციასაც თქვენ ახორციელებთ, გარკვეულწილად, პიარ-აქციების სახე აქვს? მაგალითად, იგივე ნიღბიანების მონაწილეობა ოპერაციებში, მაშინ როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს, ხომ არ არის განსაზღვრული, გარკვეულწილად, შიშის სინდრომის დასათესად? რა საჭირო იყო სპეცნაზის გამოყენება თუნდაც მერაბ ადეიშვილის დაკავების შემთხვევაში?**

**დათო ახალია:** შიშის სინდრომი არა ხალხში, არამედ კრიმინალებში და ბანდიტებში უნდა შეიქმნას. ეს ნიღბები, ერთგვარად, პრევენციულ ხასიათს ატარებს. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ის, ვინც კანონიერებას ფეხქვეშ თელავს, მკაცრად იქნება დასჯილი. ნიღბები კი სპეცრაზმის ეკიპირების ჩვეულებრივი ნაწილია. ადეიშვილი დაიჭირა სამმა სპეცრაზმელმა. ადეიშვილი სერიოზული ფიგურა იყო და გვქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი მიმალვას აპირებდა.

მთავარი ეს არ არის. მთავარი ისაა, რომ ქვეყანაში იყო უმნიშვნელოვანესი პრობლემა დაუსჯელობის სინდრომის სახით. დღეს ყველა აცნობიერებს, რომ კანონის წინააღმდეგ თუ წავლენ, დაისჯებიან.

**ბათუ ქუთელია:** არის თუ არა საჭირო ძალების დემონსტრირება? მაგალითად, სამხედრო აღლუმის დროს ვერტმფრენის გადაფრენისა და ტანკის გამოვლის არანაირი საჭიროება არ არსებობს, მაგრამ ამასაც თავისი სიმბოლური დატვირთვა აქვს.

### კორუფციაზე...

**- გასაგებია, რომ სადემონსტრაციო ნაბიჯებით საზოგადოებაში უკვე თანდათან ქრება დაუსჯელობის სინდრომი, მაგრამ გარდა ამისა, რა უნდა გაკეთდეს კორუფციის დასაძლევად. უფრო სწორად, რა კეთდება?**

**პალიკო კუბლაშვილი:** ის, რომ უნდა ებრძოლო კორუფციას, საქართველოში პერმანენტულად დეკლარირებული იყო ათი წლის განმავლობაში. ეს გასაკვირიც არ იყო - ჩვენ რომ ნებისმიერი სხვა ქვეყნის გამოცდილებას გადავხედოთ, რა დონის დიქტატორიც არ უნდა იყოს ქვეყანაში, ყველა აცხადებს, რომ მისი პრიორიტეტი არის კორუფციასთან ბრძოლა. მეტიც, თავად ზიმბაბვეშიც, რომელსაც საყოველთაოდ ცნობილი დიქტატორი - პრეზიდენტი მუგაბე მართავს, სპეციალური ანტიკორუფციული სტრუქტურები შეიქმნა. მაგრამ აქ მთავარია ერთი რამ იქ ეს ყველაფერი, ისევე, როგორც ადრე საქართველოში, საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის შედეგად კეთდებოდა, მათთვის თავის მოსაწონებლად.

დღეს ჩვენთან, პირველად ბოლო 10 წლის განმავლობაში, გამოჩნდა შანსი, რომ ქვეყანაში რაღაც შეიცვალოს. აქ ჩვენ, ალბათ, ორ საკითხზე უნდა ვისაუბროთ პირველი, ეს არის სისხლის სამართლებრივი დევნა, მეორე კი - პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე, უბრალოდ, ბიუროკრატიული ბარიერების დონეზე აღმოფხვრის იმ ხარვეზებს, რაც იწვევს კორუფციას. სულ ცოტა ხნის წინ ჩვენთან ნებისმიერი მეწარმე იძულებული იყო, ჩინოვნიკებთან გარიგებაზე წასულიყო. უახლოეს მომავალში სწორედ ასეთი ბარიერების მოხსნას ვაპირებთ. ორი დღის წინ ჩვენი ბრიფინგიც ერთ-ერთ ასეთ თემას ეძღვნებოდა - საუბარია ეკოდიაგნოსტიკის სფეროში შექმნილ სიტუაციაზე, სადაც ექსპრეზიდენტის ერთ-ერთ ნათესავს ეს სფერო მონოპოლიზირებული ჰქონდა. შსს-ს მაღალი თანამდებობის პირები ამ სფეროდან ყველას დევნიდნენ. დღეიდან ნებისმიერ პირს, ვისაც შესაბამისი აღჭურვილობა ექნება, შეეძლება განახორციელოს ეკოდიაგნოსტიკა. ჩვენი მიზანია, ყველასთვის თანაბარი პირობები შევქმნათ და ამის შემდეგ თვითონ მომხმარებელმა გაარკვიოს, ვისი მომსახურება სურს.

ამასთან, ჩვენ დღეს ბევრს ვსაუბრობთ ინვესტორების მოზიდვის აუცილებლობაზე. რა ბაზა ხვდება შესაძლო ინვესტორს საქართველოში? ხვდება ბაზა, დახუნძლული ლიცენზიებით და ნებართვებით. ხვდება უაღრესად გაზრდილი საგადასახადო განაკვეთები. შესაბამისად, ჩვენი მიზანია ყველა ამ სფეროს მაქსიმალურად გამარტივება. უახლოეს პერიოდში დასახელდება დაახლოებით ათამდე ლიცენზია, რომელიც გაუქმდება. აგრეთვე, შესაბამისად, გამარტივდება ურთიერთობა მოქალაქესა და ბიუროკრატს შორის, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ ცნობასთან, მოსაკრებლის გადახდასთან, ბაჟთან და ა.შ.

ჩვენ ვაპირებთ, რომ, კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გარდაუვალობასთან ერთად, შევქმნათ გარემო, რომელშიც მოქალაქე აღარ იქნება იძულებული, გახდეს დამნაშავე.

### აჭარაზე...

**- აჭარაში დღეს ძალიან მძიმე სიტუაციაა. რამდენად უქმნის ეს პრობლემას მთლიანად საქართველოს უსაფრთხოებას? როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა?**

**ბათუ ქუთელია:** მონსტრი, რომელიც აბაშიძის რეჟიმის სახით აჭარაში შეიქმნა, სერიოზულ გალიზიანებას იწვევდა და იწვევს არა მხოლოდ ქართულ საზოგადოებაში, არამედ საერთაშორისო საზოგადოებაშიც, ეს აისახებოდა ჩვენს საერთაშორისო რეიტინგზე. როდესაც ქვეყანამ ძირეული ტრანსფორმაციისკენ ნაბიჯი გადადგა, ამ დროს კი მისი ერთი ნაწილი აბსოლუტურად ჩამორჩენილი რჩება, შეუძლებელია ამან დაძაბულობა არ გამოიწვიოს და გამოიწვია კიდეც. მადლობა ღმერთს, რომ ჯერჯერობით ხერხდება მისი კონსტიტუციურ ფარგლებში მოქცევა. თუმცა, მე ჯერ კიდევ არ გამოვრიცხავ, რომ იყოს გართულებები, რადგან თვითონ კონფლიქტის არსი მოუგვარებელია.

მიზეზებით დავიწყოთ: პირველი - ეს ადგილი გაიგივებული იყო ერთპიროვნულ მმართველობასთან, იარაღის, ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობასთან, კონტრაბანდასთან. მე ვსაუბრობ არა ქართულ, არამედ საერთაშორისო შეფასებაზე.

მინდა გითხრათ, რომ საქართველო ჩართულია ექსპორტის კონტროლის საერთაშორისო სისტემაში, რომლის მიზანიცაა ნარკოტიკებთან, იარაღით ვაჭრობასთან ბრძოლა. მსგავსი ფაქტები საქართველოში, ძირითადად, ასეთ, ცენტრის მიერ, ფაქტობრივად, უკონტროლო ტერიტორიაზე ხდებოდა. ყველა მაჩვენებელი ერთად რომ შეიკრიბოს, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ტერიტორიები 21-ე საუკუნეში ტერორიზმის მასაზრდოებელი წყაროა. შეიძლება, პირდაპირ ასლან აბაშიძე არ იყო ამაში ჩართული, მაგრამ ის, რომ უკანონო ვაჭრობა და კონტრაბანდა ხორციელდებოდა, პორტში შემომავალი ტვირთების კონტროლი არ ხდებოდა, ეჭვებს ბადებდა. რუკებზე, რომელსაც საერთაშორისო სამსახურები ამ პროცესებზე მონიტორინგისთვის ამზადებდნენ, ეს ადგილი აღნიშნულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური. საუბარი არ არის პოლიტიკაზე - საუბარია წმინდა ტექნიკურ საკითხზე. ეს ორგანიზაცია ებრძვის პრობლემას. მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ბათუმის პორტში მიმდინარეობს უკანონო ვაჭრობა. რამდენჯერაც აფხაზეთში დაფიქსირდა უკანონოდ შესული გემები, ყველა ამ გემს ეს აკვატორია ჰქონდა გავლილი. ყველაფერი ეს წვეთწვეთობით გროვდებოდა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ დღეს.

ერთ მაგალითს მოგიყვებით: არსებობს ტრანსპარენტულობის რეჟიმები, სადაც ყველა ქვეყანა თავის ნებას გამოავლენს და აცხადებს, თუ რა შეიარაღებაა მის ტერიტორიაზე, რა წვრთნებს ატარებს, რამდენი სამხედრო ჰყავს და ეს ნდობის აღდგენის სერიოზულ საფუძვლად ითვლება. არსებობს ვენის დოკუმენტი, ეუთო-ს ფარგლებში ხდება ამ ინფორმაციის გამოყენება. ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყანა მართავს ვიზიტებს სხვა მონაწილე ქვეყანასთან, ატარებს ინსპექციებს და ამით ხდება კიდევ ერთი დადასტურება, რომ საქართველო, თურქეთი თუ აშშ და სხვ. საიმედო საერთაშორისო პარტნიორები არიან.

იგივე რეჟიმი ვრცელდება საქართველოზეც, ჩვენ ამ ტიპის ყველა ხელშეკრულების წევრი ვართ. იმ ტერიტორიებზე, სადაც ჩვენი კონტროლი ხორციელდება, ჩვენს ვალდებულებებს წარმატებით ვასრულებთ.

ახლახან, ამ კრიზისულ პერიოდში, ჩვენმა გერმანელმა პარტნიორებმა ვენის დოკუმენტით, რომლის მიზანია სამხედრო აქტივობის შეფასება, გვთხოვეს ჩაეტარებინათ ინსპექტირება აჭარის ტერიტორიაზე. ეს მოხდა სწორედ კრიზისის განმუხტვის დღეს. ჩავიყვანეთ ისინი ბათუმში, იქ დააფიქსირეს გამოსული ტექნიკა, დასვეს შეკითხვები, იყვნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრიგადაში და, ასევე, მოითხოვეს, რუსეთის სამხედრო ბაზაზე შესულიყვნენ. წესით, თუ რამე პრობლემა არ არის, უნდა იყოს გამოჩენილი კეთილი ნება. რუსული ბაზის ხელმძღვანელობამ ამ მოთხოვნაზე კატეგორიული უარი თქვა. ამან ვენაში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია, საქართველომ სერიოზული საყვედური მიიღო და, სავარაუდოოდ, კიდევ მიიღებს, რადგან მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სიტუაციაზე პასუხისმგებელი ხელისუფლებაა, ცენტრია.

ის ფაქტი, რომ ცენტრალური ხელისუფების ძალაუფლება ამ ტერიტორიაზე ვერ ვრცელდება, ბადებს ასეთ მანკიერ პრეცედენტებს: მაგალითად - რუსეთის ბაზის ხელმძღვანელი ადგილობრივ ხელისუფლებას უთანხმებს და არა ცენტრალურ ხელისუფლებას, შეუშვას თუ არა ინსპექტორები. მეტიც, 1995-96 წლებში საკმაოდ მძიმე ფინანსური პრობლემები ჰქონდათ რუს სამხედროებს და მათ ხელფასს უხდიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. ყველაფერი გაგონილა საერთაშორისო პრაქტიკაში, მაგრამ აცხადებ, რომ უცხო ქვეყნის ჯარი არ უნდა იყოს შენს ტერიტორიაზე და ამ დროს მათ ხელფასს უხდი?! ასეთი დეტალები განაპირობებს იმას, რაც მივიღეთ დღეს და რაც აუცილებლად გამოსასწორებელია.

სამწუხაროდ, ასეთი ტერიტორიები, რატომღაც, ემთხვევა რუსეთის ბაზების არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე: აჭარა, აფხაზეთი, ახალქალაქი, სამცხე-ჯავახეთი, თუმცა ამ უკანასკნელში იმ დონის პრობლემა არ არის. საერთოდ, რუსეთის სამხედრო ბაზების თემა ცალკე საკითხია და, სხვათა შორის, ასევე ჩვენს კომპეტენციაში შედის.

*დაბოლოს: ცხადია, ერთმა მასალამ ვერ დაიტია ყველა ის კითხვა და საკითხი, რომელზეც საბჭოს წევრებს კომპეტენტური პასუხის გაცემა შეეძლოთ. თუმცა, რესპონდენტებმა პირობა დადეს, რომ მომავალშიც "24 საათს" ყველა კითხვაზე უპასუხებენ, რა თქმა უნდა - "შესაძლებლობის ფარგლებში".*

ნინია კაკაბაძის სვეტი

## საქართველოს მოქალაქე



მე ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქე ვარ და ჩემთვის, ზოგადად, პოლიტიკა ისევე საინტერესოა, როგორც მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში, მაგრამ ამ ქვეყნის მოქალაქეობა პირდაპირ გამორიცხავს აპოლიტიკურობას და ნებით თუ უნებლიეთ პოლიტიკა ჩვენი განუყოფელი ნაწილი ხდება. და თუკი ეს კონკრეტული საგანი ჩემთვის ისევე საინტერესოა, როგორც ჰოკეი, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს და გაცნობიერებული ვარ მის არსში, მოვლენების შეფასებისას, პირველ ყოვლისა, ვეყრდნობი საკუთარ ინტუიციას და ასევე ამა თუ იმ კონკრეტულ ფაქტს, რომელსაც საკუთარი თვალით ვხედავ.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან გვპირდებიან, რომ 28 მარტის არჩევნები უკანასკნელი იქნება ამ წელიწადში, მეც ვეცდები უკანასკნელად ვიფიქრო და ვისაუბრო ამ თემაზე.

პოსტკომუნისტურ ეპოქაში, რომელიც, ფაქტობრივად ჯერ კიდევ კომუნისტური იყო და მას შევარდნაძის ხანა ერქვა, მიმდინარე მოვლენების შეფასება გაცილებით მარტივი იყო. შევარდნაძის ჩამობრძანების პირველი დღიდან საქართველოში იმრავლეს ოლიგარქებმა, გაჩნდა საგვარეულო მაფიოზური კლანები, რომელნიც ერთმნიშვნელოვნად ართმევდნენ ღარიბს და თავად ინაწილებდნენ მონაგარს და საერთო მდგომარეობა ყოველდღიურად რეგრესისკენ მიდიოდა და არა პოგრესისკენ... დამოკიდებულება იმჟამინდელი ხელისუფლების მიმართ, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე, ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად ჩამოყალიბდა. უნდა წავიდეს შევარდნაძე, მისი ამორალური სანათესაო და მასთან დაახლოებული "პოლიტიკოსი" თუ "ბიზნესმენი" ყაჩაღები.

### ნოემბერი - ლირიკული გადახვევა

ნოემბრის დღეებში დამოკიდებულება კიდევ უფრო გამარტივდა და ვითარება გართულდა. მაგრამ ისევ საკუთარ ინტუიციაზე დაყრდნობით, ვგრძნობდი, რომ ქუჩაში მდგომს არც მე, არცერთ ჩემს მეგობარს და არცერთ საპროტესტო აქციაში მონაწილეს არავითარი საფრთხე არ ელოდა. თუმცა, დღეს უკვე სახეცვლილი ზაზა შენგელია, კოკა ყანდიაშვილი, ინგა გრიგოლია და სხვანი, სხვადასხვა ტელეარხების მეშვეობით გამუდმებით გვახსენებდნენ 92 წლის სამოქალაქო ომს და მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ამ შემთხვევაში არ იყო დაპირისპირება ხალხს შორის, ეს იყო მშვიდობიანი ბრძოლა ხალხსა და რამდენიმე ერთეულ ჩინოვნიკ-ბანდიტს შორის. მაგრამ ყანდიაშვილზე თუ შენგელიაზე მეტად ის ხალხი მახსენდება, რომელიც საკუთარი სახლის სამზარეულოში "ნერვიულობდა" და ამბობდა: - "მეც მინდა, რომ შევარდნაძე გადადგეს, არც მე მინდა ასლან აბაშიძე პარლამენტში უმრავლესობით, **მაგრამ ხალხნო, სისხლი დაიღვრება გაიგეთ"...** 23 ნოემბრის შემდეგ არაფერი ჯობდა მათი გამომეტყველების ყურებას და მათი სიჩუმის ან შიგადაშიგ წარმოთქმული დაბნეული რეპლიკების სმენას. მაგრამ, მათი განსჯა ბუნებრივია, გაუმართლებელი იქნება, ისინიც საქართველოს რიგითი მოქლაქეები არიან და მათი არჩევანია იყვნენ დამფრთხალი კონფორმისტები, რომელთაც ეშინოდათ ვინმეს არ დაენგრია ის ნაჭუჭი, რომელსაც წლების მანძილზე აშენებდნენ, არ დაეკარგათ სტატუსი, რომელიც მოიპოვეს. ამ შემთხვევაში მკითხველისათვის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, ალბათ, ქართული ესტრადის ვარკვლავები იქნებიან, რომელნიც ე. წ. რევოლუციის დღეებში ტელევიზორთან ნერვიულობდნენ და შეძლებისდაგვარად შუალედურ პოზიციას აფიქსირებდნენ. ეს "დამკვირვებელთა" ჯგუფი, პრობლემის მოგვარებისთანავე გამარჯვების ჰიმნს წერს და ისეთი ჩვეული უნიჭო პათოსით მღერის, რომ მათ მაგივრად გვეუფლება უხერხულობის გრძნობა. ვარდებს აფრიალებენ და ვარდების რევოლუციასაც კი აწყობენ ქართულ შოუბიზნესში (მეგა 2004). გული მწყდება, რომ ვერ ვადევნე თვალყური და არავითარ ინფორმაციას არ ვფლობ ამგვარი "მნიშვნელოვანი" რევოლუციის შესახებ.

პირადად მე, როგორც ამ ქვეყნის რიგით მოქალაქეს, რომელსაც მაქვს უფლება მქონდეს საკუთარი აზრი, მოგახსენებთ, რომ თუკი ნოემბრის დღეები განსაკუთრებულად კარგი იყო და უშუალოდ იქ მხოლოდ პოზიტიური ენერგია ტრიალებდა, ამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი სწორედ ის გახლდათ, რომ არ მესმოდა ლელა წურწუმიას, თიკა ფაცაციას თუ სხვათა "ნატიფი" ხმები და მათი "დაუვიწყარი" მელოდიები, მაგრამ იქ ჩემს გარდა სხვა ადამიანებიც იყვნენ, და მე დარწმუნებული ვარ, მათ გაუხარდებოდათ იქ და იმ დროს ამ ჩვენი ეროვნული წარმოების ვარსკვლავთა თუნდაც მხოლოდ ხილვა. მაგრამ, ისიც ცხადია, რომ მათ გარეშეც ყველაფერი კარგად დასრულდა.

### ამის შემდეგ

დავუბრუნდები ჩვენს მთავარ თემას. იანვრის საახალწლო ორომტრიალში, რომელიც საქართველოში ერთი თვის მანძილზე გრძელდება, ავირჩიეთ ახალი პრეზიდენტი და სულ ახლახანს, მარტში ახალი პარლამენტი. თავდაპირველად ჩემი სუბიექტური სურვილი იყო, ახალი პარლამენტი არ ყოფილიყო ერთპარტიული. ვფიქრობ, დემოკრატიული ქვეყნისათვის ოპოზიციური ძალების არსებობა აუცილებელია და პირველი შედეგების მოსმენისას ოდნავ გულდაწყვეტილიც ვიყავი, მაგრამ შემდეგ დავფიქრდი, ვინ შეიძლება იყოს დღევანდელ საქართველოში ოპოზიცია. პოლიტიკური გვამები, რომელნიც რეინკარნაციას ცდილობენ, ირინა სარიშვილი, რომელმაც საკუთარი თავი, როგორც პოლიტიკოსმა მრავალი წლის წინ დაასამარა, როდესაც შვიდპროცენტიანი ბარიერის დამტკიცების აქტივისტი პარლამენტს გარეთ დარჩა, შალვა ნათელაშვილი - ეჭვი მაქვს, რომ თავად ეცინება საკუთარ თავზე, მაგრამ ხალხს აღარ ეცინება ერთადერთი მიზეზის გამო: წარმოუდგენელია, ყოველდღე უყურო ცირკის წარმოდგენას და ყოველდღე იცინო; კაკო ასათიანი - რომლის "ფენომენი" რთულად ასახსნელია, თითქოს გამუდმებით დამალობანას, "პაროლობანას" თუ რომელიმე ბავშვურ თამაშს თამაშობს, კოკო გამსახურდია - რომელიც კავშირშია ფესვებთან და შორსაა რეალობისგან (ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მისი ათდღიანი ვოიაჟის მიზეზი სამშობლოში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეების და ხალხის მონახულება იყო; აი, ეს არჩევნები და პარტია რა შუაში იყო, ვერ გავიგე); ასლან აბაშიძე - ამ ადამიანისათვის სათანადო ადგილის მიჩენა მარტივია, ბუნებრივია, მისი ადგილი პარლამენტში ოპოზიციის სტატუსით კი არ არის, არამედ ციხეში, რომელიმე საკნის კუთხეში; მემარჯვენეები - რომელნიც ოდნავ საეჭვო მიზეზით დღევანდელ პარლამენტში მოხვდნენ და რომელთაც ნოემბრის ერთდღიან პარლამენტში საკუთარი საქციელით საკუთარი ხალხის განადგურებას ხელი მოაწერეს. მოკლედ, ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს, მიუხედავად იმისა, რომ ვთვლიდი, ახალ პარლამენტში ოპოზიციური ძალის აუცილებლობას, რეალურად დავინახე, რომ ოპოზიცია ჯერ უნდა დაიბადოს და შემდეგ იარსებოს.

დაბოლოს, იმედი მაქვს, დღევანდელი პარლამენტის უმრავლესობა, რომელიც დემოკრატებისაგან და ნაციონალებისაგან შედგება, მიუხედავად დაჟინებული განცხადებებისა, რომ არასდროს გაიყოფიან, მე მაინც იმედი მაქვს - ერთ-ერთი პარტია, რომელიც სავსეა ყოფილი პარტმუშაკებით და შევარდნაძის ყოფილი დამქაშებით, აუცილებლად გამოაჩენს ნამდვილ სახეს და სულ ცოტა ხანში ახლანდელი პარლამენტი მრავალპარტიული იქნება. ეს ის სავარაუდო გამოსავალია, რომელიც მე, საქართველოს რიგითმა მოქალქემ, რომლისთვისაც პოლიტიკა უნებურად ჰოკეიზე აქტუალური გახდა და ამ სიტყვამ საკუთარ თავში ჩემი ქვეყნის მომავალი შეითავსა, ვიპოვნე გამოსავალი და ისევ ინტუიციაზე დაყრდნობით თავი ვინუგეშე. თუმცა, საბოლოო გამოსავლისკენ კიდევ დიდი გზა დამრჩა გასავლელი.

# "გადაუხვია, გადაუხვია!"

## მალხაზ ხარბედიას დაფანქრული წიგნები

ანა კორძაია-სამადაშვილი

"ვის გაუგია – ექვსიდან უცებ ოცდაათ გრადუსზე გადასვლა!" ზაალ სამადაშვილი ძალიან გაჯავრებული იყო. "წიგნის სახლში" მართლაც ცხელოდა, მაგრამ ეგ არაფერი. მთავარია, რომ გუშინ ციკლ "ახალი განზომილების" მუდმივი სტუმრები მალხაზ ხარბედიას შეხვდნენ, და როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ თავად მომახსენეს, ძალიან კმაყოფილებიც დარჩნენ.

უნდა ითქვას, რომ მალხაზ ხარბედიას, - ზაალის დახასიათების თანახმად: "მეგობარს, ლიტერატორს, ესეისტს, მკვლევარს, გამომცემელს და, რაც მთავარია, ძალიან საინტერესო კაცს", - საჯარო გამოსვლები სძულს. ეს შესანიშნავი მთხრობელი, რომელსაც ლიტერატურაზე და არა მარტო ლიტერატურაზე გაუჩერებლად შეუძლია საუბარი, სცენაზე თუ კამერის წინ ჩამოდგომას ყოველთვის ერიდება. არადა, დასანანია: როგორც ზაალ სამადაშვილმა ბრძანა, "მახო განათლებულია და არა უბრალოდ ინფორმირებული, ჩვენ კი ამით განებივრებული არ ვართ".

ოდესღაც, როცა ლიტერატურული ჟურნალ "არილის" რედაქცია (მალხაზ ხარბედია მისი ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა ბრძანდება) ბესიკის ქუჩაზე მდებარეობდა, ერთ მოუწყობელ, არეულ-დარეულ, მახოს (მალხაზის ფსევდონიმი) თქმით, დოსტოევსკის კორიდორივით ოთახში ლიტერატორები და ლიტერატურის მოყვარულები იკრიბებოდნენ ხოლმე; ხან ჩაის სვამდნენ, ხან – იაფფასიან კონიაკს, და წიგნებზე საუბრობდნენ. ზაალი ამ დროს ყოველთვის ძალიან ტკბილად იგონებს. გუშინ კი,



*წერილები პირადი ბიბლიოთეკიდან*

"წიგნის სახლში", ბევრად უკეთეს ინტერიერში, კვლავ წიგნების შესახებ იყო საუბარი – მალხაზ ხარბედიას წიგნებზე.

"დღეს მილან კუნდერა 75 წლის გახდა. ლიტერატურაზე საუბარი ამით დავიწყოთ," თავიდან მახო ჩუმად ლაპარაკობდა, და კუთხიდან ბატონ გიგი სულაკაურის კომენტარი გაისმა: "საუბარი – ხმადაბლა, წაკითხვა – ხმამაღლა". მახომ თავის პირად ბიბლიოთეკაზე ისაუბრა და რამდენიმე ნარკვევი წაიკითხა – სვეტები, რომლებიც ჩვენს გაზეთში გასული წლის სექტემბრიდან, ხუთშაბათობით ქვეყნდება ხოლმე. ეს არის ესეები იმ წიგნების შესახებ, რომლებიც მახომ ბოლო დროს წაიკითხა ან გადაიკითხა.

ჩვენი "მესვეტე" წიგნებს იდეებისთვის არ კითხულობს, მისთვის მთავარი დეტალებია, და ვფიქრობ, სწორედ ამიტომაა ისინი ყველასათვის თანაბრად საინტერესო: ახალგაზრდებს ის წიგნის წასაკითხად ბიძგს აძლევს, ამა თუ იმ მწერლის მოყვარულებს გულს უთბობს, ან იმ ავტორებს გვახსენებს, რომელთა სახელიც თითქოს ყველამ ვიცით, მაგრამ მათი ნაწარმოებების კითხვა რატომღაც აზრადაც არ მოგვდის. "პაოლო კოელოს და სხვების ბუმმა დაგვავიწყა დანიელ ჭონქაძე," თქვა მახომ. "ყაზბეგს არ კითხულობენ და დანიელს წაიკითხავენ?" გაისმა დარბაზიდან. რას იზამ, მართალია.

პასუხად კითხვაზე, თუ რამ მოაფიქრა "პირადი ბიბლიოთეკის" წამოწყება, მალხაზ ხარბედია მოჰყვა, რომ ეს მისთვის ერთგვარი ვარჯიში იყო, თან უაღრესად სასარგებლო – "რომ რაღაცეები არ დამავიწყდეს". ამასთან დაკავშირებით მან პატრიკ ზიუსკინდის "ლიტერატურული ამნეზია" გაიხსენა (ისე, რამდენადაც მალხაზ ხარბედიასთან მეგობრობის პატივი მხვდა წილად, მინდა მოგახსენოთ, რომ მას არც ლიტერატურული და არც არანაირი სხვა სახის ამნეზია არ ემუქრება, ძალიან ხშირად ვუსვამ ხოლმე საკმაოდ ბრიყვულ კითხვას: "რატომ იცი?"). გუშინდელი შეხვედრის დროს მსგავსი "გადახვევები" მახოს უხვად ჰქონდა, რაც, ვფიქრობ, ძალიან სასიამოვნო იყო – ჯერომ სელინჯერისა არ იყოს, რა სჯობია იმას, კაცი რომ გატაცებით ჰყვება...

"პირად ბიბლიოთეკაში" მახოს პირველი წიგნი სწორედ "თამაში ჭვავის ყანაში" იყო. გუშინ მან კიდევ რამდენიმე ნარკვევი წაგვიკითხა – თედო სახოკიას "მოგზაურობანი", ჰარუკი მურაკამის "ცხვარზე ნადირობა", დანიელ ჭონქაძის "სურამის ციხე". როგორც მოგახსენეთ, გზადაგზა ხშირად გადაუხვევდა ხოლმე, სხვადასხვა წიგნების წაკითხვას გვირჩევდა და კრიტიკაზე საუბრის დროს არისტოფანესაც კი გადასწვდა.

ვგონებ, ეს საკითხი – კრიტიკა – ერთ განსაკუთრებულ შეხვედრასაც მოითხოვს. ძალიან საინტერესო იქნება, კრიტიკის შესახებ საუბრისას, ალბათ, გაცხოველებული კამათი ატყდება. მართალია, ამ ჯერზე საქმე სხვაგვარად წარიმართა – ჩვენი მასპინძელი, ზაალ სამადაშვილი, სავსებით იზიარებდა მახოს აზრს, რომ უვარგისი ნაწარმოები კრიტიკას არ იმსახურებს, რომ კრიტიკა, სინამდვილეში, თანადგომაა. ჩინებული განმარტებაა, თქვენ რას იტყვით?

# მათი პოდიუმი დედამიწაა

## კონკურსი AMCA-ს ქარიზმული მოდელებისა და დამწყები დიზაინერებისთვის

ვერა ნეფარიძე

*ხვალ ქალაქის ცენტრში ახლად აშენებულ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" თანამედროვე მოდის ინდუსტრიის მკაცრი შემფასებლები შეიკრიბებიან. იმუშავებს საერთაშორისო ჟიური, რომელსაც ოცი დამწყები ქართველი დიზაინერიდან და ამდენივე მოდელიდან საუკეთესოთა შერჩევა დაევალება. უკვე მეორედ, ჟიურის მოდის ცნობილი კრიტიკოსი, სორბონისა და მოსკოვის უნივერსიტეტების პროფესორი ალექსანდრ ვასილევი უხელმძღვანელებს. წლევანდელი კონკურსის დევიზია – "ჩვენი პოდიუმი დედამიწაა".*

როგორც კონკურსის თანაორგანიზატორი, სამოდელო სააგენტო AMCA-ს პრეზიდენტი, სოფო ჭყონია ამბობს, წლევანდელი ღონისძიება, წინამორბედებთან შედარებით, პრიზების სიმრავლით გამოირჩევა. "რუსული სილუეტის" ორგანიზატორებმა, ერთის მაგივრად, სამი ადგილი მოგვცეს სექტემბერში დაგეგმილ საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, რადგან ჩვენ დიზაინერებს ამ კონკურსზე წინა წლებში დიდი წარმატებები ჰქონდათ", - გვითხრა სოფო ჭყონიამ გუშინ "შერატონ-მეტეხი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე. ჟურნალისტებთან შეხვედრას კონკურსის ორგანიზატორებთან ერთად სტუმრებიც ესწრებოდნენ – კონკურსის მთავარი ქორეოგრაფი და სტილისტი. დანარჩენ სტუმრებს AMCA-სა და კონკურსის კიდევ ერთი ორგანიზატორის, საქველმოქმედო ფონდ "ქალთა



*სოფო ჭყონია და კონკურსის სტუმრები*

კლუბი - მეტეხის" წარმომადგენლები გუშინ საღამოს ელოდნენ. სტუმრებს (პარალელურად, ისინი ჟიურის შემადგენლობაშიც არიან) შორის იქნებიან: პარიზის მოდის ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ფრანსის პეირონი, მილანის მოდის აკადემიის პრეზიდენტი რაფაელ მორეალე, აკადემია "იტალაიანას" პროფესორი ვიჩენცო გილობა (რომელიც ერთი თვის წინათ იმისათვის ჩამოვიდა თბილისში, რომ აკადემიის საიუბილეო ჩვენებაში მონაწილეობის მისაღებად თავად შეარჩია ქართველი მოდელები) და, რასაკვირველია, ალექსანდრ ვასილიევი.

პრიზებს დააწესებენ რაფაელ მორეალე და ფრანსის პეირონი, მაგრამ როგორი ხანგრძლივობით შესთავაზებენ ისინი გამარჯვებულ ქართველ დიზაინერებს მოდის სასწავლებლებში სტაჟირებას, ამას ევროპელი სპეციალისტები ადგილზე, ჩვენების დასასრულს გადაწყვეტენ. გარკვეულია, რომ გრან-პრის, პირველი და მეორე ადგილების მფლობელები სექტემბერში მოსკოვში გაემგზავრებიან საერთაშორისო კონკურს "რუსკი სილუეტში" მონაწილეობის მისაღებად. ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც, უცხოელების გარდა, ორი ქართველი დიზაინერი – გიორგი ნადირაძე და სალომე ტყაბლაძე იქნებიან, საუკეთესო ესკიზების ავტორებს დააჯილდოებს. რჩეულების გამოვლენაში მონაწილეობას მიიღებს "თეატრალური სარდაფიც". გრან-პრის მფლობელს კი კონკურსის ტრადიციული პრიზი – სამახსოვრო ოქროს კოჭი გადაეცემა.

ხვალინდელ ჩვენებაზე პოდიუმზე მხოლოდ სააგენტო AMCA-ს მოდელები გაივლიან. შეკითხვაზე, რატომ არ მიიღებენ შოუში მონაწილეობას "ნატალის" გოგონები (რამდენადაც ცნობილია, "ნატალი" და AMCA უახლოეს მომავალში სამოდელო ასოციაციაში გაერთიანდება), სოფო ჭყონიამ გვიპასუხა: "ეს კონკურსი გაცილებით ადრე დაიგეგმა, ვიდრე საუბარი დაიწყებოდა ჩვენი სააგენტოების შესაძლო გაერთიანებაზე. კონკურსი 29 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა. გვინდოდა, ხვალინდელ შოუში "ნატალისაც" მიეღო მონაწილეობა. მაგრამ, ეს უნდა მომხდარიყო AMCA-ს გოგონების ხარჯზე და ამიტომაც გადავიფიქრეთ".

კონკურსის შედეგები ხვალვე გამოცხადდება. ღონისძიებას კი კონკურსის წინა წლების, ასევე, "რუსკი სილუეტის" შარშანდელი გამარჯვებულის, გიორგი ამირეჯიბის კოლექციის ჩვენება დაასრულებს. როგორც "ქალთა კლუბი - მეტეხის" პრეზიდენტმა გვითხრა, ამიერიდან საკონკურსო ჩვენებაზე დამკვიდრდება ტრადიცია და ისინი ყოველ წელს წინა კონკურსების გამარჯვებული დიზაინერების კოლექციების ჩვენებას მოაწყობენ. ხვალვე უნდა გამოვლინდნენ შოუს საუკეთესო მოდელები. ძირითადი კრიტერიუმის შესახებ, რომლის მიხედვითაც შეირჩევიან მოდელები, კონკურსის ქორეოგრაფმა ოლდრიხ ნეუმანმა შემდეგი გვითხრა: "მთავარია ქარიზმა, რაც მეტად აუცილებელია მოდელისთვის, ასევე - კომუნიკაბელურობაც". წლევანდელი კონკურსის პარტნიორია მოდის პოპულარული ტელეარხი FTV, რომლის წარმომადგენლობაც ხვალინდელ ჩვენებას დაესწრება. მის ეთერში შოუს ვიზუალური მასალის ამსახველი კოლაჟი ერთი თვის განმავლობაში იტრიალებს.

# ციფრული ოთხეული

## მინიმალიზმი, როგორც ახალი ქართული ესთეტიკა

ვერა ნეფარიძე

როდესაც "აჭარა მიუზიკ ჰოლში" "სუხიშვილების" ერთ-ერთ პირველ "ასა ფართიზე" მაშინდელი კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე გამოჩნდა, ამას ჟურნალისტების ხუმრობანარევი ქილიკი მოჰყვა, რა თქმა უნდა - ყოველგვარ ბოროტ განზრახვას მოკლებული. უბრალოდ, მაშინ (არადა, სულ რაღაც ერთი წლის წინათ) ღამის კლუბში მინისტრის მისვლა, რატომღაც, ღიმილის მიზეზი იყო. ალბათ იმიტომ, რომ შევარდნაძის მთავრობის წევრისგან (ვინც უნდა ყოფილიყო იგი) მსგავსი ჟესტები ცოტა არაბუნებრივად ჩანდა. გუშინწინ კი არავის გასჩენია მსგავსი უხერხული შეგრძნება იგივე კლუბში ახალი მინისტრის დანახვაზე - მეტიც, თითქოს, კოსტიუმში გამოწყობილი "ჩინოვნიკი" ბუნებრივადაც კი ჩაეწერა "მიუზიკ ჰოლში" გუშინწინდელი "ელექტრონშიკების ტუსოვკაზე". მართლაც, შეიცვალა რაღაც ჩვენს ცხოვრებაში...

ამ მუსიკალური საღამოსადმი ინტერესი ნამდვილად დიდი იყო, მაგრამ, ცხადია, ვფიქრობდით, რომ - მხოლოდ ელექტრონული მუსიკის



*"გოსლაბი"*

მოყვარულებში. არადა, "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გუშინწინ შეკრებილი აუდიტორია, მართლაც, "ჭრელი" აღმოჩნდა - ასაკობრივადაც კი. როგორც ჩანს, ციფრული ტექნოლოგიებით შექმნილ თანამედროვე ხელოვნებას ჩვენშიც თანდათანობით ემატება გულშემატკივრები. თუ გავითვალისწინებთ, რომ გუშინწინდელი საღამოს მასპინძლები ახალგაზრდა ქართველი art-ისტები იყვნენ, საზოგადოების მხრიდან გამოჩენილი ასეთი ინტერესი მისასალმებელია და, გარკვეულწილად, საიმედოც. ვინ იცის, იქნება "გოსლაბის" (გუშინწინდელი საღამოს ავტორების შემოქმედებით გაერთიანებას სწორედ ასე ჰქვია) საზღვრებს გარეთ გატანილი პროდუქციის ჩვენში რეალიზებაც მალე რეალური გახდეს.

ამ საღამოს მთავარი ღირსება მუსიკა იყო. სწორი აღმოჩნდა კლუბის მესვეურების გადაწყვეტილებაც – ღონისძიება არა მთავარ დარბაზში, არამედ რესტორნის სივრცეში მოეწყოთ (ჩაბნელებულ დარბაზში სულაც არ ჩანდა რესტორნის ინტერიერი, რომელიც ჩემში მუდამ გაურკვევლობას იწვევს). სასურველი იქნებოდა, თუკი ვიზუალისტი თამუნა ქარუმიძის მომზადებული ვიდეომასალა უკეთესად გამოჩნდებოდა ეკრანზე. სხვა მხრივ, ყველაფერი რიგზე იყო. ამ საღამოს დავრწმუნდი, რატომ მოსწონთ საერთაშორისო მუსიკალურ ბაზარზე ნიკა მაჩაიძე, რომელსაც Nikakoi-ს ფსევდონიმით იცნობენ; მივხვდი იმასაც, რატომ დაინტერესდა გერმანული მუსიკალური ფირმა, გამოეცა ტუსია ბერიძის ალბომი და გული დამწყდა, რომ გოგი ძოძუაშვილის პირველი სოლოალბომიც გერმანულმა ფირმამ უნდა გამოუშვას. იმედია, გუშინწინ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" შესრულებული მასალა მაინც გამოიცემა ჩვენთან. ეს კი საქართველოში "გოსლაბის" პოპულარიზაციისთვის სერიოზული ნაბიჯი იქნება.

ოლიმპიზმი

# საოლიმპიადო ფინიშის სწორზე

A1 გვერდიდან

სპორტსმენთა 27-კაციან ჯგუფს, რომელიც ლიცენზიებისთვის აგრძელებს ბრძოლას, ორი რთული ამოცანა აქვს გადასაწყვეტი: დარჩენილ დროში მათ ორჯერ უნდა მიაღწიონ სპორტულ ფორმას. ცხადია, ამის გაკეთება ძნელია, მაგრამ იმედი მაქვს, თავს გამოიჩენენ ჩვენი მწვრთნელები, სამედიცინო პერსონალი, ფსიქოლოგები, რათა ოლიმპიური თამაშები საქართველოს ნაკრებისთვის გასეირნებად არ დარჩეს.



**- დღემდე 27-მა სპორტსმენმა მოიპოვა ათენის საგზური. კიდევ რამდენს უნდა ველოდოთ?**

- კიდევ 8-12 ლიცენზიის იმედი გვაქვს. არ გამოვრიცხავთ, რომ ორ-სამ ლიცენზიას დავეუფლოთ კრივში. გარკვეულ იმედს ვამყარებთ ძალოსნობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მზადების პერიოდში მათთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეგვექმნა. ლაპარაკია ერთ-ერთ პერსპექტიულ ძალოსანზე პუხაევზე, რომელსაც ტრავმა აწუხებს, ისევე როგორც გიორგი ასანიძეს გუნდის გამწევ ძალას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, თუ მათ ევროპის ჩემპიონატისთვის, სადაც საოლიმპიადო ლიცენზიები უნდა გათამაშდეს, ტრავმები ვერ მოიშუშეს, ათენში ძალოსანთა არყოფნის საფრთხის წინაშე დავდგებით. მაგრამ დაველოდოთ ევროპის ჩემპიონატს, რომლისთვისაც ნაკრები თბილისსა და პოლონეთში ემზადება.

ორ ლიცენზიას ველით მძლეოსნობაში. გამორიცხული არაა, დავეუფლოთ ლიცენზიას აფროსნობაშიც. აფროსანთა ნაკრებს ოლიმპიური ფონდის დახმარებით საშუალება ეძლევა, აპრილში მონაწილეობა მიიღოს იტალიის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზე. იმედი გვაქვს, თანამედროვე ხუთჭიდელი დავით რუხაძეც შეძლებს ლიცენზიის აღებას. ამის თქმის საბაბს იძლევა ის, რომ მას მზადების არც ერთი ეტაპი არ ჩავარდნია. შესაძლოა, ლიცენზიას ფარიკაობაშიც გამოვკრათ ხელი. გარანტირებულად შეიძლება ჩაითვალოს ჩოგბურთელ ირაკლი ლაბაძის საოლიმპიადო საგზურიც. თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ვვარაუდობთ, მაშინ ათენში დაახლოებით 35 ოლიმპიელით ვიასპარეზებთ. ასეთი დელეგაციით (სპორტსმენთა რაოდენობას ვგულისხმობ) მსოფლიოს სხვა ქვეყანათა შორის დაახლოებით 55-65-ე ადგილზე ვიქნებით, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია, ხოლო დსთ-ს ქვეყნებს შორის - მეოთხე-მეხუთე ადგილზე. ქართველი სპორტსმენები სულ 12 სახეობაში გამოვლენ.

ისე არ გაიგოთ, თითქოს მიზანი მარტო ლიცენზიების დაუფლება გახლდეთ. გვინდა, რომ მათ შორის იყვნენ ისეთი სპორტსმენები, რომლებსაც შეეძლებათ, მედლებისთვის იბრძოლონ ან პირველ ექვსეულში მოხვდნენ. რაც შეეხება გარანტირებულ ლიცენზიებს, როგორც უკვე ვთქვი, ასეთი 27-ია, მათ შორის 26 - პერსონიფიცირებული. 27-ე დაემატება იმის მიხედვით, თუ ვინ აჩვენებს დარჩენილ შეჯიბრებებზე უკეთეს შედეგს, მათ შორის ევროპის ჩემპიონატებზე.

ერთი სიტყვით, ახლა მთავარია, ამ ოთხი თვის განმავლობში ოლიმპიურმა კომიტეტმა, სპორტულმა სტუქტურებმა, ოლიმპიურმა ფონდმა ყველაფერი იღონონ იმისთვის, რომ ათენში ღირსეულად წარმოვჩნდეთ. არ შეიძლება არ აღინიშნოს ოლიმპიური ფონდის ძალისხმევა, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის ოლიმპიური გუნდის მზადებაში და რომელმაც, ფაქტობრივად, ბოლო ხუთი თვის განმავლობაში საკუთარ თავზე აიღო ყველა ღონისძიების დაფინანსება, რაზეც 700-800 ათასი ლარი დაიხარჯა.

ათენისთვის სამზადისში შეგვეშველება ბიუჯეტის სახსრებიც. შეგვეშველებიან ფედერაციებიც. განსაკუთრებით ჭიდაობის ფედერაცია და მისი ხელმძღვანელი გოჩა ძასოხოვი.

**- რაკი, ძირითადად, ლიცენზიებზე გავამახვილეთ ყურადღება, გვაინტერესებს, ველურ ბარათს რომელი სახეობისთვის გამოვიყენებთ?**

- რაკი ნაკრებში არც ერთი მოცურავე არ გვყავდა, მივმართეთ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციას, რათა ველური ბარათი გამოეყოთ. ასეთი ბარათი გამოუყვეს შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეს, ზურაბ ხომასურიძეს. მართალია, თავად სპორტსმენს თავისი შედეგებით ლიცენზია არ დაუმსახურებია, მაგრამ ვითვალისწინებთ საქართველოში სპორტის ამ სახეობის გარკვეულ ტრადიციებს.

**- ხელისუფლების შეცვლა გავლენას ხომ არ მოახდენს იმ პრემიალურებზე, რომელიც ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა და პრიზიორთათვის იყო განკუთვნილი?**

- ჯერჯერობით არ გვაქვს არანაირი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რას გადაწყვეტს ახალი ხელისუფლება. ყველაფერი, ალბათ, უახლოეს ხანში მთავრობის სხდომაზე გაირკვევა, სადაც საუბარი იქნება ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პროცესზე.

ორი წლის წინათ ჩემპიონთათვის და პრიზიორთათვის დაწესდა პრემია ადგილების შესაბამისი თანმიმდევრობით 50, 30 და 20 ათასი დოლარის ოდენობით. მაშინვე გაცხადდა, რომ ეს თანხა არ დაექვემდებარებოდა დაბეგვრას. რა იქნება ახლა, წინასწარ ვერ გეტყვით, მაგრამ, არა მგონია, რამე ცვლილება პრემიალურების შემცირების ხარჯზე მოხდეს.

ჩემპიონისთვის პრემია აქვს დაწესებული ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტს ბადრი პატარკაციშვილსაც - ოქროს მედლის მფლობელი 200 ათას ლარს მიიღებს! ბუნებრივია, პრემიები პროპორციულად განაწილდება პრიზიორთათვისაც.

**- ეკიპირების საკითხი თუ მოგვარდა?**

- ნაკრების წევრთა ეკიპირებისთვის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა უცხოურ კომპანიებთან, მაგრამ ბოლოს მაინც ჩვენს დიზაინერებზე შევჩერდით. კერძოდ, ოლიმპიური თამაშების გახსნა-დახურვის ცერემონიალებისთვის ქართველ ოლიმპიელებს ავთო ცქვიტინიძე შემოსავს. საშეჯიბრებო სპორტული ფორმისთვის კი ხელშეკრულება გავაფორმეთ ადიდასთან. დანარჩენ სამოსთან (კეპები, მაისურები, სპორტული ლაბადები, ხელჩანთები, სხვადასხვა აქსესუარები) დაკავშირებით შედარებით რთულადაა საქმე. ჯერჯერობით ორიენტაციას ვიღებთ იტალიურ კაპაზე. გამორიცხული არაა, კაპადან ასევე იტალიურ ლოტოზე გადავეწყოთ. თუმცა, შესაძლოა, ისევ ჩვენს ძველ პარტნიორს, იაპონურ მიზუნოს მივმართოთ. მით უფრო, რომ ამით თავად არის დაინტერესებული.

ფორმულა 1

# როცა ფული ქუჩაში ყრია

ნინო პირველი

შეუძლებელი არაფერია, როცა იმდენი ფული გაქვს, რომ მილიონობით ზარალს არაფრად აგდებ. იაპონური ტოიოტასთვის, რომელსაც გერმანიის ქალაქ კიოლნში აქვს რეზიდენცია, ფორმულა 1-ით გატაცებას კარგი არაფერი მოუტანია. 2003 წელს ტოიოტამ 700 მილიონი დოლარი დაახარჯა ახალ ბოლიდებს. 2004 წელს კიდევ 350 მილიონი დაამატა, მაგრამ 18 ქულაზე მეტი ვერ დააგროვა. ეს 18 ქულაც ორი სეზონის განმავლობაში მოიპოვეს ტოიოტას პილოტებმა: 2002 წელს ასპარეზობა ორი ქულით დაასრულეს, გასული წელი კი - თექვსმეტით. ამდენ ფულს არავინ ხარჯავს, თვით მრვალგზის ჩემპიონი ფერარიც კი.

ფერარის გარდა, ფორმულას არც ერთი საჯინიბო არ აგებს თავად ბოლიდებს. იტალიელებთან ერთად ტოიოტა ერთადერთია, რომელიც საკუთარ თავს ასეთი ფუფუნების უფლებას აძლევს და თვითონ ქმნის ახალ მანქანებს. იაპონელების ფაბრიკაში 32 ეროვნების 600 ადამიანი მუშაობს. გუნდის შეფი ცუტომო ტომიტა 2004 წლის სეზონის დაწყებამდე ამტკიცებდა, რომ ახალი ბოლიდი TF 104 ტოიოტას წარმატებას მოუტანდა, მაგრამ ყველაფერი ძველებურად დარჩა. დიდი სურვილის მიუხედავად, იაპონური საჯინიბო ვერაფრით მოხვდა გრანდებს შორის. წარმატების ყიდვა შეუძლებელია. ჩვენ ჯერ არ ვართ ნამდვილი გუნდი, - სევდიანად შენიშნა ტოიოტას ავსტრიელმა კონსტრუქტორმა გუსტავ ბრუნერმა, რომელიც ადრე ფერარიში მუშაობდა და დიდი წარმატებებით იყო განებივრებული.

ტოიოტა მუდამ მაჩანჩალებს შორისაა, მაგრამ იაპონელებს ეს სულაც არ უშლის ხელს მეფური ხელფასების გაცემაში. ვინც აქ მუშაობს, ყველას დიდი ანაზღაურება აქვს. ტოიოტას ფინანსურად ნამდვილად არ უჭირს, მას წარმატება სჭირდება და მზად არის, უამრავი ფული გაიღოს გამარჯვების საყიდლად. მათ ჯერ გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტი მაიკ გასკოინი წაართვეს რენოს და ტექნიკურ დირექტორად დანიშნეს, ახლა კი უილიამსს უპირებენ სარმის გამოდებას. მაშინ, როცა ფრენკ უილიამსი თავს იკლავს, რომ როგორმე რალფ შუმახერი ჯამაგირის შემცირებაზე დაითანხმოს, ასპარეზზე გამოდის ტოიოტა და უილიამსის ძუნწობით გულგაწყალებულ გერმანელს 20-მილიონიან კონტრაქტს სთავაზობს.

იაპონელები ხუთი წლით აპირებენ უმცროსი შუმის წაყვანას და ამ ხუთწლედში ფორმულაში გადატრიალების მოხდენა აქვთ განზრახული. თუ რალფი ტოიოტას წინადადებას მიიღებს, მაშინ ის მიხაელ შუმახერის შემდეგ მსოფლიოს მეორე მაღალანაზღაურებადი პილოტი გახდება. პირველობას კი, ალბათ, ვერავინ წაართმევს მიხაელ შუმახერს. მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს ფერარი წელიწადში 35 მილიონ დოლარს უხდის.

ახლა მხოლოდ ორი საკითხილა რჩება გასარკვევი: პირველი - მიიღებს თუ არა რალფ შუმახერი იაპონელების წინადადებას და მეორე - ღირს კი უმცროსი შუმი 20 მილიონი დოლარი? რაკი ფრენკ უილიამსი ისე გაჯიუტდა, რომ რალფის 16-მილიონიან ხელფასს ოთხი მილიონით უპირებს შეკვეცას, გერმანელი, ალბათ, დიდხანს აღარ დარჩება ძუნწი ინგლისელის გუნდში. მას ხომ არაერთხელ უთქვამს, რომ კარგი პილოტია და იმსახურებს მაღალ ანაზღაურებას. რაც შეეხება მეორე საკითხს, აქ საქმე ცოტა უფრო რთულადაა. წინასწარ ძნელია იმის განსაზღვრა, რამდენად გაამართლებს რალფის გუნდში აყვანა. 1996 წელს, როცა მიხაელ შუმახერი ფერარიში გადავიდა და ცნობილი გახდა, რომ იტალიელები მას 12 მილიონ დოლარს უხდიდნენ, ყველა გაოგნებული დარჩა. მაშინ ეს სარეკორდო თანხა იყო და ბევრი ფიქრობდა, რომ მიხაელისთვის ასეთი მაღალი ჯამაგირის მიცემა სისულელეა. დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ ფერარიმ სწორი სვლა გააკეთა. იქნებ რალფის შემთხვევაშიც ასე მოხდეს? შუმახერების ერთგულ მენეჯერს, ვილი ვებერს ამის დიდი იმედი აქვს: ტოიოტასთან ერთად სერიოზულად შეიძლება დიდი მიზნებისთვის ბრძოლა. იქნებ რალფი ჩემპიონიც კი გახდეს, - თავისი მეორე კლიენტის წარმატებაზე ოცნებობს ვებერი.

ფრენკ უილიამსი ჯერ კიდეც ცდილობს რალფ შუმახერის დაყოლიებას. მათ შორის უკანასკნელი მოლაპარაკება ბაჰრეინში უნდა გაიმართოს. ინგლისელები იმედოვნებენ, რომ რალფს ჯამაგირის შემცირებაზე დაიყოლიებენ. და თუ უმცროსი შუმი არ მოისურვებს, რომ 12 მილიონ დოლარად უილიამსს ქულები მოუტანოს, მაშინ ფრენკ უილიამსს სხვა კანდიდატებიც ჰყავს: ხუან პაბლო მონტოიას შემცვლელად, რომელიც 2005 წელს მაკლარენში გადავა, ბარის ახალგაზრდა ინგლისელი პილოტი ჯეისონ ბატონი მოიაზრება, რალფის ადგილს კი, ალბათ, მარკ ვებერი დაიკავებს (იაგუარი). ვილი ვებერს არც უილიამსიდან წასვლა უნდა და არც ჯამაგირის შემცირება: ჩვენ ჩემპიონობისთვის ვიბრძვით. რალფი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა იმისთვის, რომ პენსიონერების კონტრაქტი შესთავაზონ. მეორე მხრივ კი ტოიოტაში გადასვლა დაახლოებით ის იქნება, რაც შტეფან ეფენბერგის ტრანსფერი იყო ბუნდესლიგიდან ყატარში, - ამბობს შუმახერების შვაბი მენეჯერი. მოკლედ, რალფს სახელიც უნდა და ფულიც. ტოიოტას მისთვის მხოლოდ ფულის შეთავაზება შეუძლია.



ღირს კი რალფ შუმახერი 20 მილიონი?

კალათბურთი

# წარუმატებელი სტარტი ხორვატიაში



საქართველოს ნაკრებს ვერც მარკოიშვილმა უშველა

წარუმატებლად დაიწყო ასპარეზობა საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრებმა ხორვატიის ქალაქ სისაკში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალურ ეტაპზე. ქართველ კალათბურთელებს აქამდე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არასდროს უთამაშიათ და ამ უფლების მოპოვებას ახლაღა შეეცდებიან.

